პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კ-ის და ცაკის ორგანო

№ 156 (5257) | კვირა, 10 ივლისი 1938 წ. | ფასი 10 კაპ.

საქართველოს სსრ უმაღლესმა საბჭომ აირჩია სამანდატო, საკანონმდებლო განზრახულობათა და საბიუჯეტო კომისიები.

გუშინ უმაღლესმა საბჭომ მოისმინა სამანდატო კომისიის მოხსენება და დაადასტურა ყველა დეპუტატის რწმუნებათა სისწორე.

თავის უმაღლეს საბჭოში საქართველოს მუშათა კლასმა, გლეხობამ, ინტელიგენციამ აირჩია ლენინ-სტალინის საქმისათვის უსაზღვროდ თავდადებული თავისი საუკეთესო შვილები.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პირველი სესია

ერთსულოვნად მიმდინარეობს უმაღლესი საბჭოს პირველი სესია

გუშინწინ გაიხსნა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პირველი სესია. ორდენოსანი რესპუბლიკის ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს—საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუშაობა უაღრესად საქმიან პირობებში მიმდინარეობს. საქართველოს რესპუბლიკის ნამდვილი სახალხო პარლამენტი იხილავს და სწყვეტს უმნიშვნელოვანეს სახელმწიფო საკითხებს.

აქ, ამ პარლამენტში ერთიმეორის გვერდით სხედან, ერთი აზრით, ერთი მისწრაფებით და ერთი გრძნობით შეკავშირებულნი, — მეცნიერი და მუშა, მჭედელი და ლიტერატორი, არტისტი და ჩაის კრეფის ოსტატი, კომბაინერი და კომპოზიტორი, პარტიული და საბჭოთა, კომკავშირისა და პროფკავშირის მუშაკები.

აქ, ამ პარლამენტში, შეკრებილია მთელი ქართველი ხალხის მშვენება. შეკრებილი არიან უკეთესნი უკეთესთა შორის, ისინი, ვინც გამოიბრძმედა და გაიზარდა ხალხის მტრებთან ბრძოლაში, ვინც საქმით დაამტკიცა ლენინ-სტალინის პარტიისადმი ერთგულება, ვისაც არა აქვს სხვა საზრუნავი, სხვა ინტერესი, გარდა ხალხის საზრუნავისა, ხალხის ინტერესისა.

აქ, ამ პარლამენტში არიან ისინი, ვისაც ქართველმა ხალხმა ერთსულოვნად მიანდო თავისი რესპუბლიკის, თავისი ცხოვრების ბედი, მისცა რა ხმა 12 ივნისს კომუნისტთა და უპარტიოთა სტალინური ბლოკის კანდიდატებს.

სესიის მუშაობის პირველმა დღეებმა უკვე გვიჩვენა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატების უმაგალითო ერთსულოვნება, გვიჩვენა, რომ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატები საკითხთა გადაჭრის დროს ხელმძღვანელობენ ქართველი ხალხის ინტერესებით.

მთელი ქართველი ხალხის სურვილი, აზრი, მისწრაფება გამოხატა სესიამ, როცა ის ერთგულებისა და ღრმა სიყვარულის ნიშნად უდიდესი აღფრთოვანებით ეგებებოდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პირველი დეპუტატის—დიდი **სტალინის** სახელის ყოველ ხსენებას, იმ ადამიანის სახელის ხსენებას, ვინც ამ ორმოცი წლის წინათ რაზმავდა თბილისის, საქართველოს და მთელი ამიერ-კავკასიის მშრომელთ ექსპლოატატორული კლასების დამხობისა და მოსპობისათვის, ხალხთა თავისუფლებისა და ბედნიერებისათვის.

მთელი ქართველი ხალხის აზრი გამოხატა სესიამ, როცა მან თავისი მუშაობის დაწყებისთანავე მისალმების მგზნებარე სიტყვებით მიმართა მას, ვინც წინ მიუძღვის მთელ მოწინავე და პროგრესიულ კაცობრიობას, ვისი მეთაურობითაც ჩვენ ავაშენეთ სამური და ბედნიერი სოციალისტური ცხოვრება, გენიალური **ლენინის** საუკეთესო მოწაფეს და თანამებრძოლს—დიდ **სტალინს.**

მთელი ქართველი ხალხის აზრი გამოხატა სესიამ, როცა ის აღფრთოვანებით შეეგება საქართველოს ბოლშევიკთა ნაცადი ხელმძღვანელის, ამხანაგ **ლ. პ. ბერიას** სახელის ხსენებას, იმ ადამიანის ხსენებას, ვინც, ხელმძღვანელობდა რა დიდი სტალინის ბრძნული მითითებებით, საბჭოთა საქართველო გამოიყვანა მოწინავე პოზიციებზე.

მთელი ქართველი ხალხის აზრს, მის უმაგალითო მორალურ და პოლიტიკურ ერთიანობას გამოხატავს სესია, როცა ის ერთსულოვნად, საქმიანად, ორგანიზებულად სწყვეტს ყოველ საკითხს. ერთსულოვნად არჩეულ იქნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე და თავმჯდომარის მოადგილენი. ერთსულოვნად დამტკიცებულ იქნა სესიის დღისწესრიგი. ერთსულოვნად გადაწყვიტა სესიამ უაღრესად მნიშვნელოვანი საკითხი: ორი მუდმივი კომისიის — საკანონმდებლო განზრახულობათა კომისიისა და საბიუჯეტო კომისიის შექმნის შესახებ.

საკანონმდებლო განზრახულობათა მუდმივი კომისიის შექმნა ნიშნავს, რომ სესიას კარგად ესმის აზრი ამხანაგ სტალინის მითითებისა კანონის სტაბილობის, ერთი საკანონმდებლო ორგანოს შექმნის, კანონის ავტორიტეტის განმტკიცების შესახებ. საკანონმდებლო განზრახულობათა კომისიას აქვს კანონის მომზადების უშესანიშნავესი მაგალითი—საბჭოების VII საკავშირო ყრილობის დადგენილებით შექმნილი საკონსტიტუციო კომისიის მიერ, რომელსაც თავმჯდომარეობდა ამხანაგი სტალინი, სსრ კავშირის კონსტიტუციის მომზადების მაგალითი. ამ ისტორიული კომისიის მუშაობის მაგალითზე უნდა ისწავლოს საკანონმდებლო განზრახულობათა კომისიამ კანონთა მომზადება.

მუდმივი საბიუჯეტო კომისიის შექმნაც უაღრესად მნიშვნელოვანი მოვლენაა. ბიუჯეტში, როგორც სარკეში, ასახულია ჩვენი ქვეყნის მთელი ცხოვრება და მუშაობა. ბიუჯეტი ხალხის ხელში კონტროლის მძლავრი იარაღიც არის. ბიუჯეტს ამტკიცებს უმაღლესი საბჭო. ეს და ამასთან ერთად მუდმივი საბიუჯეტო კომისიის შექმნა იმას ნიშნავს, რომ უმაღლესი საბჭო კონტროლს გაუწევს თვითეული საბჭოთა მანეთის ხარჯვას. ეს ნიშნავს, რომ თვითეული მანეთი გამოყენებული იქნება საქართველოს შემდგომი სამეურნეო აღმავლობისათვის, კულტურის შემდგომი აყვავებისათვის, თავდაცვისუნარიანობის კიდევ მეტად განმტკიცებისათვის, მთელი ხალხის კეთილდღეობის ზრდისათვის.

მაშინ, როდესაც ბურჟუაზიულ ქვეყნებში პარლამენტები წარმოადგენენ ნამდვილ სალაყბოებს, მაშინ, როდესაც ბურჟუაზიული პარლამენტების ხმას თვით კაპიტალისტებიც კი არ უგდებენ ყურს, ჩვენში, საბჭოთა კავშირში სოციალისტური ქვეყნის პარლამენტი მთელი ქვეყნის ბატონ-პატრონია, რომელსაც ლენინ-სტალინის პარტიის მიერ ნაჩვენები გზით მიჰყავს ხალხი ახალ-ახალი გამარჯვებებისაკენ.

დაკვირებულად, საქმიანად, ერთსულოვნად მიმდინარეობს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პირველი სესია. ამით ის გამოხატავს საქართველოს მშრომელთა შემჭიდროვებას ლენინ - სტალინის დიადი დროშის გარშემო, ხალხთა ბელადის —დიდი სტალინის გარშემო.

8 ივლისს საქართველოში სესხი გავრცელებული იყო 91.905.000 მანეთის რაოდენობით

საქართველოს სს რესპუბლიკაში კვლავ დიდი წარმატებით მიმდინარეობს ხელისმოწერა მესამე ხუთწლედის პირველი წლის სესხზე.

საქართველოს ფინანსთა სახალხო კომისარიატთან არსებული სახელმწიფო შრომითი შემნახველი სალაროებისა და სახკრედიტის სამმართველოს ცნობით, 8 ივლისს ღამის 12 საათისათვის საქართველოს სს რესპუბლიკაში სესხი გავრცელებული იყო 91.905.000 მანეთის რაოდენობით. აქედან ქალაქად გავრცელებული იყო 77.508.000 მანეთი, ხოლო სოფლად 14.397.000 მან.

ამავე დროისათვის აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში სესხი გავრცელებული იყო 8.306.000 მანეთის, აჭარის ასს რესპუბლიკაში 6.540.000 მანეთის და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ ოლქში 1.175.000 მანეთის რაოდენობით.

თბილისში ახალი სესხი კვლავ დიდი წარმატებით ვრცელდება. 9 ივლისს ღამის 12 საათისათვის შეჯამებული ცნობების მიხედვით თბილისში სესხზე ხელი მოაწერა 165.864 მშრომელმა 35.965.190 მანეთის თანხაზე.

რაიონების მიხედვით ასეთი მდგომარეობაა: ლენინის რაიონში სესხზე ხელი მოაწერა 29.971 კაცმა 6.171.390 მანეთის თანხაზე, სტალინის რაიონში—40.236 კაცმა 8.636.345 მან., 26 კომისრის რაიონში—21.157 კაცმა 4.470.690 მან., ორჯონიკიძის რაიონში — 37.101 კაცმა 9.073.250 მან და კიროვის რაიონში—57.399 კაცმა 7.613.515 მან.

ხელის მოწერა გრძელდება.

ამხანაგები კოკინაკი და ბრიანდინსკი კომსომოლსკში

ხაბაროვსკი, 8 ივლისი (საკდესი). დღეს მამაცი მფრინავები ამხ. კოკინაკი და ბრიანდინსკი კომსომოლსკში გაფრინდნენ. გაფრენის წინ მათ განაცხადეს:

— დღეს ჩვენ კომსომოლსკში მივფრინავთ. კაცი შორეულ-აღმოსავლეთში იყო და არ ნახო ერთერთი უშესანიშნავესი ქალაქი—ახალი მშენებლობა—ეს პირდაპირ შეუძლებელია. და აი ჩვენც გადავწყვიტეთ ვაფრინდეთ იქ. ახალგაზრდობის ქალაქიდან — კომსომოლსკიდან —ჩვენ კვლავ ხაბაროვსკში დავბრუნდებით და აქედან უკვე ავიღებთ კურსს მოსკოვისაკენ.

O

10 საათსა და 7 წუთზე ადგილობრივი დროით ამხ. კოკინაკი და ბრიანდინსკი კომსომოლსკს მიფრინდნენ.

საინფორმაციო ცნობა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პირველი სესიის 1938 წლის 9 ივლისის სხდომის შესახებ

9 ივლისს, დილის 11 საათზე, გრიბოედოვის სახელობის თეატრში შესდგა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პირველი სესიის მეორე სხდომა.

პირველ საკითხად განხილულ იქნა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესიის დღისწესრიგის მეორე პუნქტი — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივი კომისიების შესახებ.

დეპუტატ **ს. რ. მილშტეინს** თბილისის, აფხაზეთის, აჭარისა და სამხრეთ-ოსეთის დეპუტატთა ჯგუფის სახელით შეაქვს წინადადება შეიქმნას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საკანონმდებლო განზრახულობათა კომისია 9 კაცის შემადგენლობით.

კომისიის შემადგენლობაში არჩეულ იქნენ:

1. კომისიის თავმჯდომარე — **კვირკველია** რაფიელ არტემის-ძე — დეპუტატი გეგეჭკორის რაიონის თამაკონის საარჩევნო ოლქიდან.

კომისიის წევრები:

2. **ხუბაევი** ვლადიმერ ივანეს-ძე —დეპუტატი სამხრეთ-ოსეთის სტალინირის სასოფლო საარჩევნო ოლქიდან.
3. **სარქისოვი** ნიკოლოზ პეტრეს-ძე — დეპუტატი ახალქალაქის რაიონის ოკამის საარჩევნო ოლქიდან.
4. **დავითაძე** დაუთ ალის-ძე — დეპუტატი აჭარის ასსრ ხულოს საარჩევნო ოლქიდან.
5. **ბჟანია** ილარიონ ნარიკის-ძე— დეპუტატი აფხაზეთის ასსრ გულრიპშის საარჩევნო ოლქიდან.
6. **ჯავახიშვილი** ივანე ალექსანდრეს-ძე — დეპუტატი ქალ. თბილისის სტუდენტთა საარჩევნო ოლქიდან.
7. **ბუჯიაშვილი** ვასილ დიმიტრის-ძე — დეპუტატი ლაგოდეხის რაიონის ვარდისუბნის საარჩევნო ოლქიდან.
8. **ფალავა** კალისტრატე ალექსანდრეს-ძე — დეპუტატი გეგეჭკორის რაიონის ბანძის საარჩევნო ოლქიდან.
9. **მიქაბერიძე** სოფიო სოლომონის-ასული — დეპუტატი ქალ. თბილისის ბერიას საარჩევნო ოლქიდან.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესია ღებულობს დეპუტატ **მ. ი. ბურჭულაძის** მიერ ქ. თბილისის, აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ, სამხრეთ-ოსეთის ა. ო. თბილისისა და გორის რაიონების დეპუტატთა ჯგუფის სახელით შეტანილ წინადადებას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საბიუჯეტო კომისიის შექმნის შესახებ.

საბიუჯეტო კომისია არჩეულ იქნა 11 კაცის შემადგენლობით:

1. კომისიის თავმჯდომარე — **გვიშიანი** მიხეილ მაქსიმეს-ძე, დეპუტატი ქალ. თბილისის ენგელსის საარჩევნო ოლქიდან.

კომისიის წევრები:

2. **დევსურაშვილი** ივანე ალექსის-ძე, — დეპუტატი ქალ. თბილისის ვოროშილოვის საარჩევნო ოლქიდან.
3. **ჰასანოვი** მეხრალი—დეპუტატი ლუქსემბურგის რაიონის იმირ ასანის საარჩევნო ოლქიდან.
4. **ჯორბენაძე** ანტონ ვასილის-ძე — დეპუტატი გურჯაანის საქალაქო საარჩევნო ოლქიდან.
5. **ცირეკიძე** დავით ზაქარიას-ძე — დეპუტატი თელავის რაიონის ზემო-ალვანის საარჩევნო ოლქიდან.
6. **შარაშიძე** შუქრი ქემალის-ძე— დეპუტატი აჭარის ასსრ შუახევის საარჩევნო ოლქიდან.
7. **ტკაჩენკო** ლიუბოვ ტიხონის-ასული — დეპუტატი ქალ. თბილისის ტელმანის საარჩევნო ოლქიდან.
8. **ჯინჭარაძე** ნიკოლოზ ანტონის-ძე—დეპუტატი ქ. ქუთაისის ვოროშილოვის საარჩევნო ოლქიდან.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე - დეპუტატი
მ. გვიშიანი

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სამანდატო კომისიის თავმჯდომარე - დეპუტატი
მ. ჯაში

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საკანონმდებლო განზრახულობათა კომისიის თავმჯდომარე - დეპუტატი
რ. კვირკველია

9. **გაბარაევი** დიმიტრი პეტრეს-ძე — დეპუტატი სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ზნაურის საარჩევნო ოლქიდან.
10. **ცეკვავა** კონსტანტინე სვიმონის-ძე—დეპუტატი აფხაზეთის ასსრ ქ. სოხუმის ლენინის საარჩევნო ოლქიდან.
11. **ბაზანდარაშვილი** სოფიო გიორგის-ასული—დეპუტატი ქ. გორის სასოფლო ოლქიდან.

სხდომის მოკლე ხნით შეწყვეტის შემდეგ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესია შეუდგა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა რწმუნებების შემოწმების შესახებ სამანდატო კომისიის თავმჯდომარის დეპუტატ ამხ. **მ. ი. ჯაშის** მოხსენების მოსმენასა და განხილვას.

დეპუტატი ამხ. **მ. ი. ჯაში** აქვეყნებს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სამანდატო კომისიის დადგენილებას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა რწმუნებების 237 საარჩევნო ოლქში შემოწმების შესახებ:

„შეამოწმა რა ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ წარმოდგენილი ყველა საარჩევნო დოკუმენტი და მასალა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ ცალკე თვითეულ დეპუტატზე, სამანდატო კომისია ადასტურებს:

1. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა არჩევნები ყველა 237 საარჩევნო ოლქში ჩატარებულია საქართველოს სსრ კონსტიტუციისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულების საფუძველზე და მათთან სრული შეფარდებით.
2. არ არის არავითარი საფუძველი არჩევნების გაუქმებისათვის რომელსამე საარჩევნო ოლქში, აგრეთვე არავითარი საჩივარი და განცხადება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა არჩევნების თაობაზე—საქართველოს სსრ კონსტიტუციისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულების დარღვევის შესახებ, არც საარჩევნო ოლქებში და არც ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში.

აღნიშნულის საფუძველზე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სამანდატო კომისია სცნობს სწორად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ყველა დეპუტატთა რწმუნებებს, რომელნიც რეგისტრირებული არიან ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში, და რომელთა სია გამოქვეყნებულია „კომუნისტში" 1938 წლის 15 ივნისს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო დეპუტატ პროფ. **ნ. ნ. კეცხოველის** წინადადებით ღებულობს შემდეგ დადგენილებას სამანდატო კომისიის მოხსენების გამო:

„მოისმინა რა სამანდატო კომისიის მოხსენება, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

1. დამტკიცდეს სამანდატო კომისიის მოხსენება საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ყველა 237 საარჩევნო ოლქში არჩეულ და საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ რეგისტრაციაში გატარებულ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა რწმუნებების სწორად ცნობის შესახებ.
2. დამთავრებულად ჩაითვალოს საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისიის მუშაობა".

სამანდატო კომისიის მოხსენების ირგვლივ დადგენილების მიღების შემდეგ, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესიის დილის სხდომა იხურება.

O

9 ივლისის საღამოს სხდომაზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესიამ მოისმინა დეპუტატ **ვ. ი. ეგნატაშვილის** მოხსენება საქართველოს სსრ კონსტიტუციის ზოგიერთი მუხლში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ იმ ცვლილებებთან დაკავშირებით, რომლებიც შეტანილია კონსტიტუციის ზოგიერთ მუხლში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პირველი სესიის მიერ, აგრეთვე საქართველოს სსრ ცაკისა და სახკომსაბჭოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით.

მოხსენების ირგვლივ გამართულ კამათში გამოვიდნენ დეპუტატები **მ. კ. დელბა, ვ. ნ. მაზიაშვილი, ვ. გ. დეკანოზოვი.**

კამათის დამთავრების შემდეგ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო ღებულობს შემდეგ დადგენილებას საქართველოს სსრ კონსტიტუციის ზოგიერთი მუხლის დამატებისა და შევსების შესახებ:

დადგენილება

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოსი

საქართველოს სსრ კონსტიტუციის ზოგიერთ მუხლში ცვლილებისა და დამატების შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:

1. საქართველოს სსრ კონსტიტუციის მე-14 მუხლის პუნქტი „ე" მიღებულ იქნას შემდეგი რედაქციით:

„ე) აწესებს რაიონებისა, სასოფლო, სადაბო და საქალაქო საბჭოების საზღვრებს და ჰქმნის ახალ სარაიონო, სასოფლო, სადაბო და საქალაქო საბჭოებს".

2. შეიქმნას სიღნაღის რაიონისაგან წითელწყაროს რაიონი შემდეგი სასოფლო-საბჭოების შემადგენლობით: წითელ-წყაროს, ქვემო-ქედის, ზემო-ქედის, წითელი საბათლოს, მირზაანის, არბოშიკის, ზემო-მაჩხაანის და ძველი ანაგის ცენტრით სოფ. წითელ-წყაროში და სიღნაღის რაიონი შემდეგი სასოფლო საბჭოების შემადგენლობით: სიღნაღის, ანაგის, ვაქირის, საქობოს, ბოდბის-ხევის, ქვემო-მაჩხაანის, ჯუგაანის, ტიბაანის, ნუკრიანის, მაღაროს ბოდბის და ულიანოვკისა ცენტრით ქ. სიღნაღში.

ამის შესაბამისად საქართველოს სსრ კონსტიტუციის მე-19 მუხლი მიღებულ იქნას შემდეგნაირად.

„19. საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა შესდგება: აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა, აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქისაგან; აბაშის, ალბულაღის, ადიგენის, ამბროლაურის, ასპინძის, ახალქალაქის, ახალციხის, ბალდათის, ბაშკირეთის, ბოგდანოვკის, ბორჯომის, ბორჩალოს, ვანის, გეგეჭკორის, გორის, გურჯაანის, დუშეთის, ზემო-სვანეთის, ზესტაფონის, ზუგდიდის, ყარაიას, კასპის, ყვარლის, ქვემო-სვანეთის, ქუთაისის, ლაგოდეხის, ლანჩხუთის, ლუქსემბურგის, მახარაძის, ონის, ორჯონიკიძის, საგარეჯოს, სამტრედიის, სიღნაღის, თელავის, თიანეთის, თბილისის, ტყიბულის, ხაშურის, ხობის, ცაგერის, წალენჯიხის, წალკის, წითელ-წყაროს, წულუკიძის, ცხაკაიას, ჭიათურის, ჩოხატაურის, ჩხარის, ჩხოროწყუს რაიონებისაგან და ქალაქებისა: თბილისისა და ფოთისაგან, რომლებიც რაიონების შემადგენლობაში არ შედიან".

3. სსრ კავშირის კონსტიტუციის 70, 77 და 83 მუხლების შეცვლის შესაბამისად:

საქართველოს სსრ კონსტიტუციის 50 მუხლიდან ამოიშალოს სიტყვები „დამზადებათა კომიტეტის რწმუნებული", სიტყვა „შინა-ვაჭრობის" შეიცვალოს სიტყვით „ვაჭრობის".

საქართველოს სსრ კონსტიტუციის მე-50 მუხლის შეცვლის შესაბამისად:

მუხლში 72 სიტყვები „დამზადებათა კომიტეტის რწმუნებული" შეიცვალოს სიტყვებით „დამზადებათა სახალხო კომისარიატის რწმუნებული".

საქართველოს სსრ კონსტიტუციის 55, 72, 81, 102 და 104 მუხლებში სიტყვა „შინა-ვაჭრობის" შეიცვალოს სიტყვით „ვაჭრობის".

5. საქართველოს სსრ კონსტიტუციის ქართული ტექსტის 14 მუხლში პუნქტი „დ" და „ვ"; 24, 25, 26, 27, 28, 29, 30, 31, 32, 33, 34, 35 მუხლებში; 36 მუხლში პუნქტები „ა", „ე"; მუხლებში 37, 38, 39, 40, 41, 42, 43, 45, 50, 51, 57, 59, 60, 61; მუხლში 62 პუნქტები „ა", „ბ", მუხლებში 63, 64, 65, 66, 67, 69, 72, 102, 103, 112, 113, 114, 115, 117, 119, 120, 121, 147, 152, 157, 158 და 162 სიტყვა „უზენაესი" შეიცვალოს სიტყვით „უმაღლესი".

O

9 ივლისის საღამოს სხდომაზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პირველ სესიას მიესალმა ქალ. თბილისის მშრომელთა—ქ. თბილისის საწარმოების სტახანოველთა და ინტელიგენციის დელეგაცია, რომლის სახელით გამოვიდნენ **სტალინის** სახელობის ორთქლმავალ-ვაგონ-სარემონტო ქარხნის სტახანოველი ზეინკალი ამხანაგი **ვ. ა. ქაფიანიძე** და პროფ. **ა. კ. ხარაძე.**

სესიას მიესალმა აგრეთვე აჭარის ასსრ მშრომელთა დელეგაცია, რომლის სახელით გამოვიდა მუშა-სტახანოველი ამხ. **ე. ე. ფეიქრიშვილი.**

დეპუტატები არაერთხელ აწყვეტინებენ გამოსულებს დელეგაციების წარმომადგენლებს მისასალმებელი შეძახილებით დიდი **სტალინის** პატივსაცემად. ყველანი ფეხზე დგებიან და მქუხარე ტაშს უკრავენ. დარბაზიდან მოისმის შეძახილები ქართულ, რუსულ, აზერბაიჯანულ, სომხურ ენებზე: „გაუმარჯოს დიდ **სტალინს**", „გაუმარჯოს ხალხთა სტალინურ მეგობრობას!" „გაუმარჯოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პირველ დეპუტატს დიდ **სტალინს**"! „გაუმარჯოს **ლენინ-სტალინის პარტიას!**".

მშრომელთა დელეგაციების წარმომადგენლების გამოსვლის შემდეგ სესიის საღამოს სხდომა იხურება.

სამანდატო კომისიის თავმჯდომარის დეპუტატ მაკარი ჯაშის მოხსენება

ამხანაგო დეპუტატებო! საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს სამანდატო კომისიამ საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კონსტიტუციის მე-37 მუხლის საფუძველზე შეამოწმა საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოში არჩეულ დეპუტატთა რწმუნებანი და თავის მოხსენებას დასამტკიცებლად უდგენს საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს სესიას.

სამანდატო კომისიამ შეამოწმა ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ წარმოდგენილი ყველა საარჩევნო დოკუმენტი და მასალები თვითეული დეპუტატისა „საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულების მე-40 მუხლის „დ" პუნქტის შესაბამისად, დეპუტატობის კანდიდატთა სარეგისტრაციო ოქმების რაოდენობა, ხმის მიცემის ოქმები და დასათვლელი ფურცლების არსებული რაოდენობა. სამანდატო კომისიამ გამოარკვია, რომ საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა არჩევნები ყველა 237 საარჩევნო ოლქში ჩატარებულია „საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საარჩევნო დებულების" საფუძველზე და მათ შესაბამისად.

ამხანაგო დეპუტატებო! 1938 წლის 12 ივნისს საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დღეს—ქართველმა ხალხმა უდიდესი აღფრთოვანებითა და ერთსულოვნებით მისცა ხმა კომუნისტებისა და უპარტიოების ურღვევი სტალინური ბლოკის კანდიდატებს, ჩვენი სამშობლოს საუკეთესო წარმომადგენლებს, პარტიულ და არაპარტიულ ბოლშევიკებს, იმ ადამიანებს, რომლებმაც სავსებით დაამტკიცეს თავისი ერთგულება ლენინ-სტალინის პარტიის საქმისადმი.

237 საარჩევნო ოლქში საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოში არჩეულია კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკის ყველა 237 კანდიდატი.

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოში თავის პირველ დეპუტატად ქართველმა ხალხმა უდიდესი აღფრთოვანებით აირჩია ის, ვინც საქართველოსა და ამიერ კავკასიაში პირველმა აღმართა კომუნიზმისათვის ბრძოლის დროშა, ბედნიერი და სასიხარულო ცხოვრებისათვის ბრძოლის დროშა—ჩვენი მშობლიური საყვარელი **სტალინი** (ხანგრძლივი ტაში, რომელიც ოვაციაში გადადის, გრძელდება რამდენიმე წუთს. ყველანი ფეხზე დგებიან).

გადავდივარ საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა შემადგენლობის დახასიათებაზე.

ცნობები პარტიული შემადგენლობის შესახებ: 237 დეპუტატიდან კომუნისტია—179 ანუ 75,5 პროცენტი, უპარტიო—58, ანუ 24,5 პროცენტი.

პირველი დასკვნა, რომელიც ამ ციფრებიდან გამომდინარეობს, არის ის, რომ საქართველოს კომუნისტური პარტია (ბ) სარგებლობს ქართველი ხალხის უდიდესი ნდობით და უდიდესი ავტორიტეტი აქვს მასში. ამ უდიდესმა ნდობამ თავისი გამოხატულება ჰპოვა იმაში, რომ საქართველოში საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა 72,1 პროცენტი საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) წევრი და კანდიდატია.

მეორე დასკვნა ის არის, რომ საქართველოს კომუნისტურმა პარტიამ ამ წლების განმავლობაში აღზარდა ლენინ-სტალინის საქმის ერთგული არაპარტიული ბოლშევიკები, რომლებიც ხალხში უდიდესი ავტორიტეტით სარგებლობენ. ვაქვეყნებ ცნობებს საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა სოციალური შემადგენლობის შესახებ:

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 237 დეპუტატიდან არის: მუშა—78, რაც შეადგენს 33 პროცენტს, გლეხი—53, ანუ 23 პროცენტი, მოსამსახურე და საბჭოთა ინტელიგენცია—106, ანუ 44 პროცენტი.

ცნობები მუშაობის ხასიათის მიხედვით შემდეგ სურათს იძლევა: 237 დეპუტატიდან წარმოების მუშაა—21, კოლმეურნე—48, პარტიული, საბჭოთა, კომკავშირელი მუშაკები—103, სამეურნეო მუშაკი—22, სამხედრო მუშაკი—8, შინსახკომის მუშაკი—7, მეცნიერების, ხელოვნების და განათლების მუშაკი—22, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის სპეციალისტი—6.

ეს ცნობები ამტკიცებს, რომ საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოში წარმოდგენილია ჩვენი სოციალისტური მშენებლობის ყველა დარგის მუშაკი.

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ყველა დეპუტატი, რომლებიც წარმოებაში მუშაობენ, სტახანოველია. ასეთები არიან: ნინო აგაშენაშვილი, ივანე დევსურაშვილი, ნიკოლოზ გელაძე, სტეფანე ქსოვრელი და სხვები. საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს კოლმეურნე გლეხი დეპუტატები ყველანი სოციალისტური მინდვრების სტახანოველები და წარჩინებული ადამიანები არიან. დეპუტატთა შორის არის მოწინავე კოლმეურნეობათა 13 თავმჯდომარე, 2 ბრიგადირი, 2 ფერმის გამგე და სხვ.

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატებად საბჭოთა ინტელიგენციიდან არიან მეცნიერებისა და ხელოვნების წარჩინებული ადამიანები—მეცნიერების მუშაკები მწერლები, მსახიობები. აი ისინი: პროფესორები ივანე ჯავახიშვილი, ივანე ბერიტაშვილი, ალექსანდრე ჯანელიძე, ნიკოლოზ კეცხოველი, პოეტი ილო მოსაშვილი, მსახიობი აკაკი ვასაძე და სხვები.

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატებად არჩეული არიან საქართველოს საუკეთესო შვილები. საქართველოს სს რესპუბლიკის დეპუტატთა შორის ორდენოსანია 31 კაცი.

დეპუტატთა ნაციონალური შემადგენლობა: 237 დეპუტატიდან ქართველია—186, რუსი—7, სომეხი—13, აზერბაიჯანელი—7, ოსი— 7, აჭარელი—5, აფხაზი—5, იტალიელი—1, გერმანელი—1, ებრაელი—3, ბერძენი—2.

(დასასრული იხ. მე-2 გვ.)

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პირველი სესია

დეპუტატ მაკარი ჯაშის მოხსენების დასასრული

დეპუტატთა შემადგენლობა სქესის მიხედვით: 237 დეპუტატიდან მამაკაცი არის—178, ანუ 75,1 პროცენტი, ქალები 59, ანუ 24,9 პროცენტი.

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატ ქალებიდან მუშა ქალი არის—11. კოლმეურნე—32. ინტელიგენტი—16. მხოლოდ საბჭოთა კავშირში ლენინ-სტალინის პარტიის მზრუნველობით და მისი ბრძნული ხელმძღვანელობით სტალინური კონსტიტუციის საფუძველზე სავსებით განხორციელებულია კანონები, რომლებიც ქალებს უფლებას აძლევენ—აირჩიონ და არჩეულ იქნან მამაკაცებთან ერთად.

საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატ ქალთა შორის არიან სტახანოველები, მუშა-ქალები, რომლებიც წარმოებას დაეუფლნენ და შრომისადმი სოციალისტური დამოკიდებულების ნიმუშებს იძლევიან. დეპუტატ ქალთა შორის არიან კოლმეურნე ქალები—სოციალისტური მინდვრების სტახანოველები, პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო მუშაკები და ინტელიგენციის წარმომადგენლები.

დეპუტატთა ასაკობრივი შემადგენლობა: 20 წლამდე—5. 21- 25 წლამდე—8, 26 - 30—29. 31 - 35 88, 36 - 40—65, 41 - 50—29, 51-60—8 და 60 წელს ზევით 5.

განათლების მიხედვით: საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა შორის უმაღლესი და დაუმთავრებელი უმაღლესი განათლება აქვს—104 კაცს, საშუალო და დაუმთავრებელი საშუალო განათლება 44 კაცს. ამგვარად უმაღლესი და საშუალო განათლებით საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატები სულ შეადგენენ 148 კაცს ანუ 62 პროცენტს.

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა შორის არის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭოს 14 დეპუტატი.

ამხანაგო დეპუტატებო! ცენტრალური საარჩევნო კომისიის წინასწარი ცნობების მიხედვით, რომლებიც გამოქვეყნებული იყო პრესაში, საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნებში მონაწილეობა მიიღო ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის 99,2 პროცენტმა, ხოლო აქედან კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკის კანდიდატებს ხმა მისცა 99,6 პროცენტმა.

საარჩევნო საბუთების დაზუსტებულმა შემოწმებამ გამოარკვია, რომ 1938 წ. 12 ივნისს საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის ამომრჩეველთა რაოდენობა იყო 1.899.976. საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 1.886.578 კაცმა, რაც შეადგენს ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის 99,3 პროცენტს ნაცვლად 99,2 პროცენტისა.

ყველა 237 საარჩევნო ოლქში საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნებში კომუნისტებისა და უპარტიოების სტალინური ბლოკის კანდიდატებს ხმა მისცა 1.880.417 ამომრჩეველმა, რაც შეადგენს არჩევნებში მონაწილეთა 99,7 პროცენტს ნაცვლად 99,6 პროცენტისა.

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შედეგები ნათლად მოწმობენ ქართველი ხალხის მორალურ ერთიანობას მთელი საბჭოთა კავშირის ხალხებთან და მის მჭიდროდ დარაზმვას ლენინ-სტალინის პარტიისა, დიდი მშობლიური სტალინის გარშემო (ხანგრძლივი ტაში).

ეს გამარჯვება არჩევნებში მიღწეულია სახელოვანი კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, რომელსაც სათავეში უდგას კაცობრიობის გენიოსი ამხანაგი სტალინი. ეს გამარჯვებანი მიღწეულია იაპონია-გერმანიის ფაშიზმის ყველა ტროცკისტ - ზინოვიეველ - ბუხარინელ - რიკოველ და ნაციონალისტ აგენტებთან დაუნდობელი ბრძოლისა და მათი განადგურების შედეგად.

ეს გამარჯვებანი მიღწეულია ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის ურყევად გატარების საფუძველზე, იმ ბრძნული პოლიტიკისა, რომელმაც წინათ დაჩაგრულ ერებს გაფურჩქვნისა და განვითარების ყველა პირობა შეუქმნა და რომლის საფუძველზე საქართველოს კომუნისტურ პარტიას ამხანაგ სტალინის საუკეთესო მოწაფეს ამხანაგ ლავრენტი ბერიას ხელმძღვანელობით ქართველი ხალხი გამარჯვებიდან გამარჯვებამდე მიჰყავს და რომელსაც ჩვენი ქვეყანა საბჭოთა ქვეყნის მოწინავეთა რიგებში ჩააყენა (ხანგრძლივი ტაში. ყველანი ფეხზე დგებიან. შეძახილი გაუმარჯოს ამხანაგ ბერიას—ვაშა!!

ამხანაგო დეპუტატებო! საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს სამანდატო კომისიამ 237 საარჩევნო ოლქის მიხედვით საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატების რწმუნებათა შემოწმების შედეგად მიიღო შემდეგი დადგენილება, რომელსაც გიდგენთ თქვენ განსახილველად:

შეამოწმა რა საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ყველა საარჩევნო დოკუმენტი და მასალა, წარმოდგენილი ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ. ცალკე თითოეული დეპუტატის მიხედვით, სამანდატო კომისია ადასტურებს: 1) უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა არჩევნები ყველა 237 ოლქში ჩატარებულია საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კონსტიტუციისა და საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულების საფუძველზე და მათთან სრული შეფარდებით. 2) არავითარი საფუძველი არჩევნების გაუქმებისათვის რომელიმე საარჩევნო ოლქში, აგრეთვე არავითარი საჩივარი და განცხადება საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა არჩევნების დროს კონსტიტუციისა და დებულების დარღვევაზე არც საარჩევნო ოლქში და არც ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში არ მოიპოვება.

აღნიშნულის საფუძველზე საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს სამანდატო კომისია სწორად სცნობს რწმუნებას საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ყველა დეპუტატისას რომლებიც რეგისტრირებული არიან ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში და რომელთა სიაც გამოქვეყნებულია გაზეთ „კომუნისტის“ 1938 წლის 15 ივნისის ნომერში.

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს სამანდატო კომისიის თავმჯდომარე—მაკარი ჯაში.

სამანდატო კომისიის წევრები: გრიგოლ სანაკოევი, მემედ ფაღავა, ალექსანდრე ჯანელიძე, ნინა აგაშენაშვილი, კონსტანტინე აბალაკი, გურია საჯაია, ცაცა ქარდავა, გუმბათ გუმბათოვი.

მწერალი—ორდენოსანი ა. ნ. ტოლსტოი და დრამატურგი — ორდენოსანი შ. დადიანი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პირველი სესიის სხდომათა დარბაზში.

ფოტო სტოლიაროვისა („სოიუზფოტოს“ საქ. განყ.).

დეპუტატ ნ. კეცხოველის სიტყვა

ამხანაგო დეპუტატებო! სამანდატო კომისიის მოხსენება აჯამებს საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შედეგებს. ეს მოხსენება ერთხელ კიდევ ადასტურებს ჩვენი სოციალისტური სამშობლოს მშრომელთა მიერ მოპოვებულ ახალ ბრწყინვალე გამარჯვებას.

ამ არჩევნებმა მთელ მსოფლიოს უჩვენა, თუ რას ნიშნავს საბჭოთა კავშირის თავისუფალი ხალხის არჩევნები, უმაგალითო თავისი მასშტაბით, თავისი ენთუზიაზმით, სიხარულითა და ერთსულოვნებით.

12 ივნისის არჩევნები გადაიქცა ეროვნულ სახალხო ზეიმად. ამ ბრწყინვალე დღეს საქართველოს მიწა-წყალზე განსაკუთრებული სიძლიერით ისმოდა ხალხის მკერდიდან ამოხეთქილი სიხარული და სიყვარული, და ეს სიხარული, ბედნიერება ტრიალებდა ჩვენს მხარეში— ზურმუხტოვან ზღვა-წალკოტად ქცეული კოლხეთიდან, ვიდრე ჭაღარით მოსილ ყინულოვან მთებამდე.

ამ მხიარულებაში ისმოდა ქართველი ხალხის ჰიმნი, რომელიც პირველ რიგში მიმართული იყო და არის იმ ადამიანისადმი, ვინც შექმნა და განამტკიცა ქართველი ხალხის ბედნიერება, ქართველი ხალხის თავისუფლება, ეს ჰიმნი მიმართული იყო დიდი **სტალინისადმი (ხანგრძლივი ოვაციები, ყველანი ფეხზე დგებიან, ხმები გაუმარჯოს დიდ სტალინს, გაუმარჯოს საბჭოთა ხალხის პირველ დეპუტატს მშობლიურ ბელადს დიდ სტალინს. „ვაშა“!)**

12 ივნისს მთელმა ქართველმა ხალხმა, როგორც ერთმა კაცმა, მიიღო მონაწილეობა არჩევნებში. უნდა აღინიშნოს, რომ ეს დიადი საქმე ორგანიზებულად, შესანიშნავად მომზადდა, უჩვეულო ბრწყინვალებითა და გამარჯვებით შესრულდა, რამაც მთელ მსოფლიოს უჩვენა ჩვენი ხალხის პოლიტიკური სიმტკიცე.

კომუნისტებისა და უპარტიოების **სტალინური ბლოკის გამარჯვება** ლახვრად ესობა გულში ყველა ჯურის ფაშისტებს, დივერსანტებსა და მავნებლებს. ეს ბრწყინვალე გამარჯვება სიხარულით ავსებს დიდი საბჭოთა ქვეყნის ყველა პატიოსანი მოქალაქის გულს, იმედის სხივად ევლინება კაცობრიობის საუკეთესო შვილებს.

ამ არჩევნების შედეგები ცხადად გვიჩვენებს, რომ საქართველო მჭიდროდაა გაერთიანებული სოციალისტურ ძმურ კავშირში დანარჩენ ათ საბჭოთა რესპუბლიკასთან. ეს ოჯახი და ძმობა ურყევია და მტკიცე, ისე, სიყვარული **ლენინ-სტალინის** დიადი პარტიისადმი, დიდი საბჭოთა სამშობლოსადმი, სიყვარული, რომელიც ყოველი ჩვენი ამომრჩევლის გულში ანთია. ეს გრძნობა განმტკიცებულია დიდი **სტალინის** ბრძნული პოლიტიკით **(მქუხარე ტაში).** და ჩვენს მზიან ქვეყანაში, სადაც ნამდვილმა მზემ მხოლოდ ამ 17-18 წლის წინათ გამოანათა, სიამაყით სავსე გულით ჟღერდა ხმები ჩვენი ქვეყნის პირველ დეპუტატს — **დიდ სტალინს (ხანგრძლივი ოვაციები. შეძახილები ადგილებიდან: „გაუმარჯოს დიდ სტალინს“, „ურაა“, „ვაშა“. სომეხი დეპუტატებიდან ისმის ხმა „კეცე ინკერ სტალინ!“. მქუხარე ტაში),** საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობის თავმჯდომარეს ამხანაგ **მოლოტოვს** (მქუხარე ტაში, ყველანი ფეხზე დგებიან), ჩვენს საყვარელ **ლავრენტი ბერიას** (ხანგრძლივი, მქუხარე ტაში), კომუნისტთა და უპარტიოთა ბლოკის მიერ წამოყენებულ კანდიდატებს.

ეს ერთსულოვნება, ერთიანობა მთლიანად შეესაბამება კომუნიზმის მაღალ იდეებს, ჩვენი პარტიისა და მთავრობის მოღვაწეობას. იგი კიდევ უფრო აკავშირებს მას, რაზმავს და მრისხანედ ხდის ყველა ჯურის მტრებისათვის.

როგორც გასული წლის 12 დეკემბრის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნები, ისე საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნები დარჩება როგორც ქართველი ერის უდიდესი ჯერ არნახული ზეიმი, ზეიმი, დოვლათით ბარაქით, ბედნიერებით ზურგგამაგრებული. ქართველი ხალხი აღფრთოვანებულია იმით, რომ პირველმა მისცა ხმა უდიდეს გენიოსს დიდ სტალინს და აირჩია იგი თავის უმაღლეს საბჭოში **(ხანგრძლივი ტაში, მთელი დარბაზი ფეხზე დგება).**

დღეს სამანდატო კომისია სავსებით ადასტურებს არჩევნების შედეგების სისწორეს. ვცნობ რა სამანდატო კომისიის წინადადებას აბსოლუტურად სწორად, თბილისის, აჭარის, აფხაზეთის, გორის დეპუტატთა ჯგუფის სახელით შემომაქვს შემდეგი წინადადება, როგორც პროექტი საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დადგენილებისა სამანდატო კომისიის მოხსენების გამო:

მოისმინა რა სამანდატო კომისიის მოხსენება, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო ადგენს:

1. დამტკიცდეს სამანდატო კომისიის მოხსენება საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ყველა 237 საარჩევნო ოლქში არჩეულ და საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ რეგისტრაციაში გატარებულ დეპუტატთა რწმუნების სწორად ცნობის შესახებ.

2. დამთავრებულად ჩაითვალოს საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისიის მუშაობა. **(მქუხარე ტაში).**

9 ივლისის დილის სხდომა

სესიის მუშაობის რეგლამენტი პუნქტუალური სიზუსტით სრულდება. 9 ივლისს დილის 11 საათისათვის დეპუტატები უკვე შეგროვილიყვნენ სხდომათა დარბაზში.

პრეზიდიუმის მაგიდასთან ადგილები დაიკავეს—უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. იოსებ კოჩლამაზაშვილმა და თავმჯდომარის მოადგილეებმა—ამხ. ნევრესტ შაშიკაშვილმა და გიორგი ჯგუბურიამ.

დარბაზში გაისმა თავმჯდომარის ზარის წკრიალი.

— საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პირველი სესიის მეორე სხდომას გახსნილად ვაცხადებ. გადავდივართ დღის წესრიგის მეორე საკითხზე. იქნებ წინადადება აქვს რომელიმე დეპუტატს?

წინადადებისათვის სიტყვა ითხოვა დეპუტატმა ს. მილშტეინმა. მან შემოიტანა წინადადება, რომ არჩეულ იქნას უმაღლესი საბჭოს ორი მუდმივი კომისია, პირველი—საკანონმდებლო განზრახულობათა კომისია და მეორე—საბიუჯეტო. სესიამ ერთსულოვნად მიიღო ეს წინადადება. საკანონმდებლო განზრახულობათა კომისიაში აირჩიეს 9 დეპუტატი, ხოლო საბიუჯეტო კომისიაში—11 დეპუტატი.

დღისწესრიგის მეორე საკითხი ამით ამოიწურა. სესია გადავიდა მესამე საკითხის, საინტერესო და ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხის მოსმენაზე. ეს იყო სამანდატო კომისიის თავმჯდომარის დეპუტატ მ. ჯაშის მოხსენება სამანდატო კომისიის მუშაობის შესახებ.

— ამხანაგო დეპუტატებო,—დაიწყო მოხსენება სამანდატო კომისიის თავმჯდომარემ,—სამანდატო კომისიამ დაამთავრა მუშაობა, შეისწავლა ყველა მასალა და დოკუმენტები საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს 12 ივნისს ჩატარებული არჩევნების შესახებ.

— თავის პირველ დეპუტატად საქართველოს მშრომელებმა აირჩიეს ის, ვინც საქართველოსა და ამიერკავკასიაში პირველმა აღმართა სოციალიზმისათვის, კომუნიზმისათვის ბრძოლის უძლეველი დროშა. ჩვენმა ხალხმა თავის პირველ დეპუტატად აირჩია საყვარელი ბელადი და მასწავლებელი დიდი სტალინი.

ბელადის ხსენებისას ტაშის გრიალმა მოიცვა მთელი დარბაზი. საქართველოს ხალხის რჩეულნი ადიდებდნენ დიდ ბელადს—სტალინს. „გაუმარჯოს ჩვენს სიამაყეს, მშობლიურ სტალინს“, „გაუმარჯოს საბჭოთა ხალხის პირველ დეპუტატს და ხალხთა მამას“. დიდხანს ისმოდა შეძახილები დიდი სტალინის პატივსაცემად. ბოლოს მიწყნარდა ტაში და ოვაცია. დეპუტატი ჯაში განაგრძობს:

— საქართველოს მშრომელებმა ერთსულოვნად და სიხარულით აირჩიეს თავის დეპუტატად დიდი სტალინის თანამებრძოლი და მოძმე რუსი ხალხის საამაყო შვილი, მსოფლიოში ყველაზე ძლიერი მთავრობის—საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელი ამხანაგი მოლოტოვი.

იფეთქა ტაშმა და ოვაციამ საქართველოს უმაღლესი საბჭოს სასახელო დეპუტატის ამხანაგ ვიაჩესლავ მოლოტოვის პატივსაცემად.

სესიამ ერთხმად დაამტკიცა სამანდატო კომისიის მოხსენება.

ამით დამთავრდა სესიის მეორე სხდომა.

9 ივლისის საღამოს სხდომა

9 ივლისის საღამოს სხდომაზე დეპუტატი ამხ. **ვ. ეგნატაშვილი** გამოვიდა წინადადებით, საქართველოს სსრ კონსტიტუციის ზოგიერთი მუხლის ცვლილებათა და დამატებათა შესახებ. ამხ. ვ. ეგნატაშვილი დაწვრილებით შეეხო კონსტიტუციის ზოგიერთ მუხლში ცვლილებების შეტანის საჭიროებას და ამასთან დაკავშირებით სიღნაღის რაიონის ორ ნაწილად — სიღნაღისა და წითელწყაროს რაიონებად — გაყოფის შესახებ.

ამხ. ვ. ეგნატაშვილის წინადადებას მხარი დაუჭირა დეპუტატმა ამხ **მ. დელბამ.**

ამავე საკითხზე ილაპარაკა დეპუტატმა ამხ. **ვლ. მაზიაშვილმა,** რომელმაც მხარი დაუჭირა ამხ. ვ. ეგნატაშვილის წინადადებას.

დეპუტატმა ამხ. **ვ. დეკანოზოვმა** ილაპარაკა საქ. სახკომისარიატების, დამზადების კომიტეტის, კინოხელოვნების მუშაობაზე და მხარი დაუჭირა ამხ. ვ. ეგნატაშვილის წინადადებებს. ამხ. ეგნატაშვილის წინადადებები სესიამ ერთხმად მიიღო — საქ. სსრ კონსტიტუციაში შეტანილ იქნა მთელი რიგი შესწორებანი.

საქ. სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. ი. კოჩლამაზაშვილმა სესიას სასიხარულო ამბავი აცნობა:

— ამხანაგებო, სესიას მისალმებისა გადმოსაცემად ესტუმრნენ ქალაქ თბილისის სტახანოველთა და მშრომელი ინტელიგენციის წარმომადგენლები

ცოტა ხნის შემდეგ დარბაზში გამოჩნდნენ დედაქალაქის მშრომელთა წარმომადგენლები.

თბილისის სტალინის სახელობის ორთქლმავალ - ვაგონ - სარემონტო ქარხნის სტახანოველი ამხ. ქაფიანიძე ავიდა ტრიბუნაზე და მგზნებარე მისასალმებელი სიტყვით მიმართა დეპუტატებს.

დეპუტატებმა ფეხზე ადგომითა და მქუხარე ტაშით გააცილეს თბილისის მშრომელთა დელეგაციის წევრები.

თავმჯდომარემ სესიას აუწყა, რომ პირველი სესიის მისასალმებლად მოვიდნენ აჭარის მშრომელთა წარმომადგენლები.

დეპუტატები მქუხარე ტაშით შეხვდნენ აჭარის მშრომელთა დელეგაციის დარბაზში გამოჩენას. ტრიბუნაზე ავიდა ახალგაზრდა აჭარელი მუშა-სტახანოველი ამხ. **ფეიქრიშვილი.**

— ბედნიერი და აყვავებული აჭარის მშრომელთა სახელით მხურვალე ბოლშევიკურ სალამს ვუძღვნით საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პირველ სესიას!..

ტაშის გრიალმა დაფარა ფეიქრიშვილის უკანასკნელი სიტყვები.

— გაუმარჯოს ჩვენს გამარჯვებათა ორგანიზატორს ამხანაგ სტალინს!

— გაუმარჯოს დიდ სტალინს!

დიდხანს გრიალებდა დარბაზი. მრავალ ენაზე ისმოდა შეძახილები ამხანაგ სტალინის პატივსაცემად.

დეპუტატებმა ტაშითა და მხურვალე ოვაციებით გააცილეს აჭარის მშრომელთა დელეგაცია.

ამით დამთავრდა სესიის მესამე სხდომა.

ი. ლევინი

პირველი საბჭოთა კონსტიტუცია 1918 წლისა

20 წლის წინათ, 1918 წლის 10 ივლისს, საბჭოების სრულიად-რუსეთის V ყრილობამ მიიღო პირველი საბჭოთა კონსტიტუცია — რუსეთის სოციალისტური ფედერატიული საბჭოთა რესპუბლიკის კონსტიტუცია. რსფსრ-ის 1918 წლის კონსტიტუცია გახდა ნიმუში სხვა საბჭოთა რესპუბლიკების კონსტიტუციებისათვის — უკრაინისა, ბელორუსიისა და სხვ., რომლებიც 1922 წელს გაერთიანდნენ ერთ საბჭოთა მრავალეროვან საკავშირო სახელმწიფოდ— სსრ კავშირად.

რსფსრ-ის პირველმა კონსტიტუციამ შეაჯამა უდიდესი გამარჯვებანი და მიღწევანი საბჭოთა ხელისუფლებისა მისი არსებობის პირველი 8 თვის მანძილზე.

„რასაც საბჭოთა კონსტიტუცია იძლევა, — ამბობდა ლენინი 1920 წელს, — მისი მოცემა ვერ შესძლო ვერცერთმა სახელმწიფომ 200 წლის მანძილზე.“ [1])

გაუგონარ მოკლე ვადაში საბჭოთა ხელისუფლებამ დაამსხვრია ბურჟუაზიული სახელმწიფოებრივი მანქანა მასების დამონებისა და დათრგუნვისა, დაამყარა პროლეტარიატის დიქტატურა, გადააქცია მსხვილი მრეწველობა, ბანკები, ტრანსპორტი, მიწა და მიწის წიაღი საყოველთაო - სახალხო კუთვნილებად, განთავისუფლა ყოფილი ჩაგრული ეროვნებანი. ოქტომბრის დიდმა სოციალისტურმა რევოლუციამ. სახელმწიფოს მმართველობაში მშრომელთა ჩაბმით, შექმნა ნამდვილი დემოკრატიის ახალი, იმ დრომდე უნახავი ფორმები.

ახალგაზრდა სახელმწიფო ხელისუფლების გამარჯვებებმა გააფთრებული გაბოროტება გამოიწვია სოციალიზმის ყველა მტერთა შორის ჩვენი ქვეყნის შიგნით და მის გარეთ ესერებმა და სხვა ანტისაბჭოთა პარტიებმა მოაწყეს აჯანყებანი სამარაში, სარატოვში, ცარიცინში და სხვ. უკრაინა და ბელორუსია ხელთ იგდეს გერმანელმა ინტერვენტებმა ვლადივოსტოკში იაპონელთა ჯარები გადმოსხდნენ, მურმანსკში — ინგლისელთა რაზმები. კონტრრევოლუციამ მოახერხა დროებით ხელში ჩაეგდო ძალაუფლება ციმბირში.

საბჭოთა ხელისუფლების აშკარა მტრებთან მჭიდრო კონტაქტში მოქმედებდნენ მათი ფარული მოკავშირენი — მემარცხენე ესერები, ბუხარინელები, ტროცკისტები. სულ რაღაც 3 დღით წინ პირველი საბჭოთა კონსტიტუციის მიღებამდე მოსკოვში ჩაქრობილ იქნა მემარცხენე ესერთა ამბოხება. როგორც სრული სიცხადით გამოირკვა ანტისაბჭოთა „მემარჯვენე ტროცკისტული ბლოკის“ პროცესზე, მემარცხენე ესერების ზურგს უკან იდგნენ, მათ ასულდგმულებდნენ, საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ დანაშაულებრივი ამბოხებისათვის ლოცვა-კურთხევას აძლევდნენ ბუხარინი, პიატაკოვი და მათი საზიზღარი ბანდა. მათ განზრახული ჰქონდათ ვ. ი. ლენინის, ი. ბ. სტალინის, ი. მ. სვერდლოვის ვერაგულად მოკვლა. ისინი, ისევე როგორც ტროცკისტები, ზინოვიეველები და სხვა გამცემლები და მოღალატენი, პროლეტარული რევოლუციის დამარცხებისაკენ მიისწრაფოდნენ.

რესპუბლიკისათვის ამ მძიმე მომენტში, დაწყებული სამოქალაქო ომის პირობებში, საბჭოების სრულიად რუსეთის V ყრილობამ მიიღო მსოფლიოში პირველი პროლეტარული სახელმწიფოს კონსტიტუცია.

1918 წლის კონსტიტუცია ნაყოფი იყო დიდი მუშაობისა, რომელიც ჩატარდა ლენინისა და სტალინის ხელმძღვანელობით უმაღლეს საბჭოთა და პარტიულ ორგანოებში საბჭოების სრულიად-რუსეთის III ყრილობის შემდეგ. ამ ყრილობამ 1918 წლის იანვარში მიიღო მშრომელი და ექსპლოატირებული ხალხის უფლებათა დეკლარაცია, გამოიტანა ამხანაგ სტალინის მოხსენების მიხედვით დადგენილება რუსეთის რესპუბლიკის ფედერალურ დაწესებულებათა შესახებ და დაავალა სრულიად-რუსეთის ცაკს შეემუშავებინა „რუსეთის ფედერალური რესპუბლიკის კონსტიტუციის ძირითადი დებულებანი... საბჭოების შემდგომ ყრილობაზე შესატანად“.

სრულიად რუსეთის ცაკის მიერ შექმნილი საკონსტიტუციო კომისია მუშაობდა ამხანაგ სტალინის უახლოესი მონაწილეობით და უშუალო ხელმძღვანელობით. კონსტიტუციას საფუძვლად დაედო მშრომელი და ექსპლოატირებული ხალხის უფლებათა დეკლარაცია და „რუსეთის სოციალისტური ფედერატიული რესპუბლიკის კონსტიტუციის ზოგადი დებულებანი“, შედგენილი ამხანაგ სტალინის მიერ. ეს დებულებანი განსაკუთრებული მკაფიობით განსაზღვრავდნენ საბჭოთა სახელმწიფოს ძირითად ამოცანებსა და პრინციპებს.

„ზოგად დებულებათა“ ერთ-ერთ პუნქტში ნათქვამია: „ძირითადი ამოცანა ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრების ამგვარი მოწყობისა, რომელიც ნავარაუდევია ახლანდელი გარდამავალი მომენტისათვის, — ეს არის ქალაქის და სოფლის პროლეტარიატის დიქტატურის დამყარება სრულიად-რუსეთის მძლავრი პოლიტიკური ხელისუფლების სახით, ბურჟუაზიის სრული დათრგუნვის, ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაციის მოსპობისა და სოციალიზმის დამყარების მიზნით...“

ვ. ი. ლენინი საბჭოების სრულიად - რუსეთის საგანგებო VI ყრილობაზე ამბობდა:

„ჩვენ ვიცით, რომ ეს საბჭოთა კონსტიტუცია, რომელიც დამტკიცებულია ივლისში, გამოგონილი არ არის რაიმე კომისიის მიერ, შეთხზული არ არის იურისტების მიერ, გადმოწერილი არ არის სხვა კონსტიტუციებიდან. მსოფლიოში არ ყოფილა ისეთი კონსტიტუცია, როგორიცაა ჩვენი. მასში ჩაწერილია გამოცდილება პროლეტარული მასების ბრძოლისა და ორგანიზაციისა ექსპლოატატორების წინააღმდეგ ქვეყნის შიგნითაც და მთელ მსოფლიოშიაც“. [2])

1918 წლის კონსტიტუცია პირველი კარის სახით შეიცავდა მშრომელი და ექსპლოატირებული ხალხის უფლებათა დეკლარაციას, რომელიც საბჭოების სრულიად - რუსეთის III ყრილობამ დაამტკიცა.

ეს დეკლარაცია აცხადებდა რუსეთს მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოების რესპუბლიკად, რომელიც მყარდებოდა თავისუფალ ერთა თავისუფალი კავშირის საფუძველზე, როგორც საბჭოთა ნაციონალური რესპუბლიკების ფედერაცია. მან შეაჯამა საბჭოთა ხელისუფლების ძირითადი ღონისძიებანი მისი არსებობის პირველ პერიოდში, როდესაც საჭირო იყო ქვეყნის მბრძანებელი პოზიციებისა და ეკონომიკის დაუფლება, ძველი სახელმწიფო მანქანის დამსხვრევა და ახალი სახელმწიფო აპარატის შექმნა. დეკლარაციამ, როგორც ცნობილია, დაადასტურა და განაზოგადა საბჭოთა ხელისუფლების ისეთი დეკრეტები, როგორიც იყო დეკრეტები მიწის შესახებ, მუშათა კონტროლის, ბანკების ნაციონალიზაციის, მუშურ-გლეხური წითელი არმიის შექმნის შესახებ.

რსფსრ-ის 1918 წლის კონსტიტუცია შეიცავდა პროლეტარული რევოლუციის მიერ მოპოვებულ ყველა დემოკრატიულ უფლებათა და თავისუფლებათა ჩამოთვლას.

რათა უზრუნველეყო მშრომელთათვის მათი აზრების გამოთქმის ნამდვილი თავისუფლება, საბჭოთა ხელისუფლებამ მოსპო ბეჭდვითი სიტყვის დამოკიდებულობა კაპიტალისაგან და მისცა მუშათა კლასსა და ღარიბ გლეხობას ყველა ტექნიკური და მატერიალური საშუალებანი გაზეთების, ბროშურების, წიგნების გამოცემისათვის.

„ჩვენმა საბჭოებმა, — სწერდა ლენინი, — წაართვეს მდიდრებს ყველა კარგი შენობანი ქალაქებშიაც და სოფლებშიაც, გადასცეს ყველა ეს შენობანი მუშებსა და გლეხებს მათი კავშირებისა და კრებებისათვის. აი ჩვენი თავისუფლება კრებებისა — მშრომელთათვის. აი ჩვენი საბჭოთა, ჩვენი სოციალისტური კონსტიტუციის აზრი და შინაარსი!“. [3])

1918 წლის კონსტიტუციაში ჩაწერილი იყო, რომ საბჭოთა რესპუბლიკა თავის ამოცანად ისახავს მისცეს მუშებსა და გლეხებს სრული, ყოველმხრივი და უფასო განათლება. კონსტიტუციამ შრომა სცნო რესპუბლიკის ყველა მოქალაქის მოვალეობად და წამოაყენა ლოზუნგი: „ვინც არ შრომობს, ის არც სჭამს!“

კონსტიტუცია ადასტურებდა საბჭოთა ხელისუფლების იმ მწყობრ — თავიდან ბოლომდე — ორგანიზაციას, რომელიც რევოლუციის სვლელობაში ჩამოყალიბდა.

კონსტიტუციის თანახმად, უმაღლეს, სახელმწიფო ხელისუფლებას რესპუბლიკაში წარმოადგენდა საბჭოების სრულიად-რუსეთის ყრილობა, ხოლო ყრილობებს შუა პერიოდში — სრულიად-რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი. მთელი ძალაუფლება ადგილებზე საბჭოებს ეკუთვნოდა. კონსტიტუციის თანახმად, სრულიად-რუსეთის ცაკი ქმნის სახალხო კომისართა საბჭოს. ამომრჩევლებს მინიჭებული ჰქონდათ დეპუტატების გამოწვევის ფართო უფლება.

საბჭოთა სისტემა, რომელმაც გაანთავისუფლა ხალხის ძირეული მასები და ჩააბა ისინი სახელმწიფოს მმართველობაში, მსოფლიოში ყველაზე დემოკრატიული სისტემა იყო. „პროლეტარული დემოკრატია, — სწერდა ლენინი, — ყოველ ბურჟუაზიულ დემოკრატიაზე მილიონჯერ უფრო დემოკრატიულია; საბჭოთა ხელისუფლება ყველაზე დემოკრატიულ ბურჟუაზიულ რესპუბლიკაზე მილიონჯერ უფრო დემოკრატიულია“ [4]).

რსფსრ-ის 1918 წლის კონსტიტუცია აცხადებდა: „დიდი მუშურ-გლეხური რევოლუციის მონაპოვართა ყოველმხრივ დაცვის მიზნით რუსეთის სოციალისტური ფედერატიული საბჭოთა რესპუბლიკა რესპუბლიკის ყველა მოქალაქეთა მოვალეობად სცნობს სოციალისტური სამშობლოს დაცვას და აწესებს საყოველთაო სამხედრო ბეგარას“. მაგრამ იარაღით ხელში რევოლუციის დაცვის საპატიო უფლება მხოლოდ მშრომელთ ენიჭებოდათ.

1918 წლის საბჭოთა კონსტიტუცია ასახავდა იმ პერიოდში არსებულ პირობებს, როდესაც ექსპლოატატორული კლასები ჯერ კიდევ მთლიანად არ იყვნენ ლიკვიდირებული, როდესაც არამშრომელი და ექსპლოატატორული ელემენტები „... აშკარა ომს აწარმოებდნენ ხალხის წინააღმდეგ და წინააღმდეგობას უწევდნენ საბჭოთა კანონებს“ (სტალინი), როდესაც გლეხური მეურნეობის გაბატონებულ ფორმას ჯერ კიდევ ერთპიროვნული მეურნეობა წარმოადგენდა. ამ პირობებში პროლეტარიატის დიქტატურის და სახელმწიფოსადმი პროლეტარული ხელმძღვანელობის განმტკიცების ინტერესები მოითხოვდნენ განსაზღვრულ პერიოდში საყოველთაო და თანასწორი საარჩევნო უფლებების ერთგვარ შეზღუდვას, სახელდობრ — ყველა ექსპლოატატორულ კლასთათვის საარჩევნო უფლების წართმევას.

კონსტიტუციამ უზრუნველჰყო პროლეტარიატისათვის ხელმძღვანელი როლი საბჭოებში. საარჩევნო სისტემა იმგვარად იყო აგებული, რომ მუშებს მეტი ხვედრითი წონა ჰქონდათ საბჭოებში, ვიდრე გლეხებს. პარტიას და საბჭოთა ხელისუფლებას ეს შეზღუდვები დროებითად მიაჩნდათ.

1936 წლის სტალინურმა კონსტიტუციამ და მასთან სრული შეფარდებით ჩამოყალიბებულმა მოკავშირე რესპუბლიკების ახალმა კონსტიტუციებმა სავსებით გააუქმეს საარჩევნო უფლების ყველა ის შეზღუდვა, რაც ფიქსირებული იყო წინანდელ კონსტიტუციებში.

სტალინური კონსტიტუცია მოასწავებს საბჭოთა დემოკრატიის გადასვლას უფრო მაღალ საფეხურზე, რაც შესაძლებელი გახდა ჩვენს ქვეყანაში სოციალისტური წყობილების გამარჯვების მეოხებით.

სტალინური კონსტიტუცია წარმოადგენს პირველი საბჭოთა კონსტიტუციის—1918 წლის კონსტიტუციის ძირითად დებულებათა შემდგომ განვითარებას. სტალინურ კონსტიტუციაში ჩაწერილია სოციალიზმის მსოფლიო-ისტორიული გამარჯვებანი, რომლებიც მიღწეულია ორი სტალინური ხუთწლედის პერიოდში. ეს გამარჯვებები მოპოვებულია ფაშიზმის ტროცკისტ-ბუხარინელი აგენტების, ჯაშუშების, მავნებლებისა და მკვლელების წინააღმდეგ გააფთრებულ ბრძოლაში. ბევრი რამ იქიდან, რაც 1918 წლის კონსტიტუციით დასახული იყო როგორც ამოცანა, უკვე ცხოვრებაში გატარებული. ამას ყველაზე უკეთესად მოწმობს სტალინური კონსტიტუციის შინაარსი.

სტალინურ კონსტიტუციაში ფიქსირებული უფლებანი საბჭოთა მოქალაქეებისა — შრომის, დასვენების, განათლების, მოხუცებულობისას და შრომის უუნარობის დაკარგვისას უზრუნველყოფის უფლებანი — უზრუნველყოფილია ჩვენს ქვეყანაში მეურნეობის სოციალისტური სისტემის სრული ბატონობით. ახალი საარჩევნო სისტემა აგებულია საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი არჩევნების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით. იგი წარმოადგენს მსოფლიოში ყველაზე დემოკრატიულ საარჩევნო სისტემას, რომელიც უზრუნველჰყოფს ხელისუფლების ორგანოთა ნამდვილად თავისუფალ და ნამდვილად დემოკრატიულ არჩევნებს.

სსრ კავშირში მიღწეულმა სოციალისტური დემოკრატიზმის უმაღლესმა საფეხურმა თავისი გამოხატულება ჰპოვა სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლეს ორგანოთა ახალ, კიდევ უფრო დემოკრატიულ სტრუქტურაში. მთელი კანონმდებლობითი ხელისუფლება სსრ კავშირში მოქცეულია უმაღლეს საბჭოში, რომელსაც უშუალოდ მოსახლეობა ირჩევს.

მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების ამასწინათ ჩატარებულმა არჩევნებმა ბრწყინვალე გამარჯვება არგუნა კომუნისტებისა და უპარტიოების სტალინურ ბლოკს. ამ არჩევნებმა არაჩვეულებრივი სიცხადით დაგვანახა, თუ რამდენად გაიზარდა და განმტკიცდა მუშათა და გლეხთა სოციალისტური სახელმწიფო.

არაჩვეულებრივ გაფართოვდა მუშათა კლასის დიქტატურის ბაზა. კომუნისტები და ხალხი — ეს ახლა ერთიანი ძალაა. საბჭოთა ხალხის მორალურ-პოლიტიკური ერთიანობა, მისი მჭიდრო დარაზმულობა ბოლშევიკური პარტიისა და მთავრობის გარშემო, ყველა ხალხთა საყვარელი მეგობრის, მამისა და ბელადის ამხანაგ სტალინის გარშემო — ყოველივე ეს მკაფიოდ დემონსტრირებულ იქნა მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების არჩევნებზე.

1918 წლის კონსტიტუცია სისხლისმღვრელი სამოქალაქო ომის ცეცხლში იშვა. სტალინურმა კონსტიტუციამ შეაჯამა დიადი შესანიშნავი შედეგები ბოლშევიკური პარტიის მრავალწლიანი ბრძოლისა ხალხის ბედნიერებისათვის. მაგრამ ეს ბრძოლა დამთავრებული არ არის. საჭიროა შემდეგშიაც ვამაგროთ მუშათა კლასის დიქტატურის სიმძლავრე, ვაყოლიოთ მასები მობილიზაციურ მზადყოფნაში, რათა ჩვენი მტრების არავითარ მახინაციებსა და ოინებს საბჭოთა ხალხი მოუმზადებელი არ შეხვდეს.

◆

---

[1]) ვ. ი. ლენინი. თხზულებანი. ტომი XXV, გვ. 144. რუს.

[2]) ვ. ი. ლენინი. თხზულებანი. ტომი XXIII. გვ. 256. რუს.

[3]) ვ. ი. ლენინი. თხზულებანი. ტომი XXIII. გვ. 188.

[4]) იქვე. გვ. 350.

პარტიული ცხოვრება

პარტიული პროპაგანდა ახალი ამოცანების სიმაღლეზე!

მაღალ საფეხურზე ავიყვანოთ პარტიული პროპაგანდა

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის ბიურომ თავის 1938 წლის 27 მაისის დადგენილებაში თელავისა და კასპის რაიონებში პარტიული პროპაგანდის მდგომარეობის შესახებ მიუთითა რაიონულ, საქალაქო და საოლქო კომიტეტებს, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ პარტიული სწავლების საქმის გაუმჯობესებას.

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის ბიურომ ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ მიუხედავად მრავალგზის მითითებისა, პროპსემინარები, დაწესებული 4 აკადემიური საათის ნაცვლად, მრავალ რაიონში მუშაობდნენ მხოლოდ 2 აკადემიურ საათს. აღინიშნა აგრეთვე, რომ რაიკომები არ ამტკიცებენ პროპსემინარებისა და პარტკაბინეტების მუშაობის გეგმას, რის შედეგად ზოგიერთი პარტკაბინეტის საქმიანობა შემოფარგლულია მხოლოდ პროპსემინარების მუშაობით. ცენტრალური კომიტეტის ამ მნიშვნელოვანი მითითების შედეგად საგრძნობი გარდატეხა მოხდა პარტიული განათლების დაყენების საქმეში: გაუმჯობესდა პროპსემინარების მუშაობა, ამაღლდა სწავლების ხარისხი. მაგალითად, აჭარის საოლქო კომიტეტმა თვეში სამი დღე განთავისუფლა პროპაგანდისტები წარმოებიდან და ისინი 6 საათის განმავლობაში მეცადინეობენ პროპსემინარებზე. ჭიათურის რაიონში პროპსემინარებზე ისმენენ ლექციებს პარტიის ისტორიაში, ლენინიზმის საკითხებზე, სსრ კავშირის ისტორიაში, გეოგრაფიაში, საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ.

მაგრამ პარტიული პროპაგანდისა და აგიტაციის საქმეში ჯერ კიდევ ადგილი აქვს მთელ რიგ სერიოზულ დეფექტებს. მაგალითად საქ. კ. პ. (ბ) აჭარის საოლქო კომიტეტის პარტგანათლების სახლს სამუშაო გეგმა ჯერ კიდევ შედგენილი არა აქვს; მიუხედავად იმისა, რომ პროპაგანდისტები წარმოებიდან განთავისუფლებული არიან პროპსემინარზე დასასწრებლად, პროპაგანდისტების 50 პროც. სემინარებს არ ესწრება; ჩხარის რაიონში პროპსემინარები 4 აკადემიური საათის ნაცვლად ჯერ კიდევ 2 აკადემიურ საათს ტარდება. არიან პროპაგანდისტები (მურადაშვილი, ქარცივაძე და სხვ.), რომელნიც სრულებით არ ესწრებიან პროპსემინარებს; რაიკომის ბიუროს ერთხელაც არ განუხილავს საკითხი პროპსემინარებისა და პარტკაბინეტის მუშაობის შესახებ, ხოლო ზესტაფონის რაიონში ივნისამდე პროპსემინარების მუშაობა სრულებით ჩაშლილი იყო.

ზოგიერთი რაიკომი ჯერ კიდევ ნაკლებად არის დაინტერესებული პოლიტმეცადინეობაზე მსმენელთა დასწრების და პარტიული სწავლების ხარისხის გაუმჯობესებით. ჩხარის რაიკომს ბიუროზე არ მოუსმენია არცერთი პროპაგანდისტის და პარტკომის მდივნის ან პარტორგის მოხსენება პოლიტსკოლების მუშაობის შესახებ. თვით ჩხარის რაიკომთან არსებული პოლიტცოდნის პოლიტსკოლის (პროპაგანდისტი —დოლიძე) მეცადინეობა ჩაშლილია. მაგალითად, 17 კაციდან 5 მაისს მეცადინეობას დაესწრო 11, 10 მაისს 10, 20 მაისს—9 და ასე შემდეგ.

ინფორმაციული ცნობები მეცადინეობის ჩატარების შესახებ, რომელიც რაიკომში იგზავნება, მხოლოდ ფორმალურად ჯამდება პარტკაბინეტში. ნამდვილად კი მიღებულ ცნობათა ანალიზის გაკეთებაზე და პარტგანათლების საქმისადმი კონკრეტულ ხელმძღვანელობაზე ნაკლებად ზრუნავენ. ამის შედეგად ხშირია გაცდენები, მეცადინეობის ჩაშლა. კვალითის სასოფლო საბჭოში (ზესტაფონის რაიონი) პოლიტსკოლის მეცადინეობა 20-ჯერ ჩაიშალა, ხაშურის რაიონში, ავლევის სასოფლო საბჭოს სოფელ თამარაშენის საკოლმეურნეო პარტორგანიზაციასთან არსებული პოლიტსკოლის მეცადინეობა რამდენიმე თვეს არ ჩატარებულა.

პირველადი პარტიული ორგანიზაციები ნაკლებ ყურადღებას აქცევენ პოლიტსკოლის მეცადინეობას. პარტკომის მდივნები არ ესწრებიან წრის მეცადინეობას, პარტკომის სხდომებზე არ ისმენენ პროპაგანდისტის ინფორმაციას, არ ამარაგებენ მსმენელებს ლიტერატურით, არ იხილავენ პროპაგანდისტის სამუშაო კალენდარულ გეგმას და სხვ. ამის შედეგად ხშირია მეცადინეობის ჩაშლა. მაგ. ძირულის სასოფლო საბჭოში (ზესტაფონის რაიონი) პოლიტსკოლების მეცადინეობა სრულიად ჩაშლილი იყო და პარტორგანიზაციას ეს საკითხი ერთხელაც არ განუხილავს.

პროპაგანდისტთა შერჩევას მთელი რიგი რაიკომები ჯერ კიდევ ფორმალურად ეკიდებიან. მაგ., ზესტაფონის რაიონში პროპაგანდისტები ბიუროს მიერ დაუმტკიცებლად იგზავნებოდნენ სამუშაოზე; პარტკაბინეტის გამგე გაჩეჩილაძე ტელეფონით აცნობებდა ამა თუ იმ ამხანაგს, რომ ის პროპაგანდისტად არის გამოყოფილი, და ამით თავდებოდა ყველაფერი.

უნდა აღინიშნოს, რომ ხშირ შემთხვევებში პროპაგანდისტები ძლიერ გადატვირთული არიან სხვადასხვა დავალებებით. შორაპნის რკინიგზის კვანძზე პროპაგანდისტი წერეთელი, გარდა იმისა, რომ ის პროპაგანდისტია, მუშაობს აგრეთვე აგიტატორად, ადგილკომის თავმჯდომარედ, კლუბის გამგეობის თავმჯდომარედ, რეჟისორად და, ასე გასინჯეთ მუსიკალური წრის ხელმძღვანელადაც კი. ცხადია, ასე დატვირთული პროპაგანდისტის მუშაობის ხარისხი დაბალი იქნება.

ზოგიერთი რაიკომი, ნაცვლად იმისა, რომ განტვირთოს ამხანაგები და ხელი შეუწყოს მათ მუშაობაში, ხშირად ხელაღებით ხსნის პროპაგანდისტებს სამუშაოდან, როგორც სუსტ მომუშავეებს. მაგ., ქუთაისის საქალაქო კომიტეტის ცნობით, პროპაგანდისტული სამუშაოდან განთავისუფლებულია 46 პროპაგანდისტი როგორც სუსტი მომუშავე, თელავის რაიკომის მიერ—8 პროპაგანდისტი და ა. შ. ჩვენ კვლავ მოვაგონებთ რაიკომებისა და პირველადი პარტორგანიზაციების ხელმძღვანელებს ამხანაგ ბერიას მითითებას, რომ „ბოლოს და ბოლოს რაიკომებმა და პარტკომებმა მტკიცედ უნდა შეითვისონ, რომ პროპაგანდისტული მუშაობა წარმოადგენს ძირითად უმნიშვნელოვანეს პარტიულ დავალებას, რომლის წარმატებით შესრულებისათვის პროპაგანდისტებს უნდა შეუქმნან საჭირო პირობები და გაუწიონ მათ სისტემატური დახმარება“.

შ. სამხარაძე

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის პარტპროპაგანდისა და აგიტაციის განყ. ინსტრუქტორი.

> „წრეებისა და სკოლების მეცადინეობაზე დასწრების მაღალ პროცენტთან ერთად, მეცადინეობის რეგულარობასთან ერთად, საჭიროა მივაღწიოთ ისეთ მდგომარეობას, რომ პარტკომთა მდივნები და პარტორგები, რაიკომთა და საქალაქო კომიტეტთა მდივნები პარტგანათლების წრეებისა და სკოლების მუშაობის შინაარსს ჩასწვდნენ, ხელმძღვანელობა გაუწიონ წრეებსა და სკოლებს მათი მუშაობის არსის მიხედვით, ამასთან განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ სქემატიზმისა და სკოლარობის ელემენტების აღმოფხვრას, სწავლების ბოლშევიკური მეთოდების დანერგვას, პროგრამების შეთვისების ხარისხს“.
>
> ამხანაგ ლ. ბერიას მოხსენებიდან საქ. კ. პ. (ბ) XI ყრილობაზე.

მეტი ყურადღება პარტიულ სწავლებას

27 ივნისს რაიკომის დადგენილებით მოხდა გამოშვება ხევის სასოფლო ტერიტორიულ პარტორგანიზაციასთან არსებულ დაწყებითს პოლიტცოდნის სკოლაში. სკოლა აერთიანებდა 9 პარტწევრს, 2 თანამგრძნობს და 2 უპარტიოს. როგორც წინასწარ შემოწმებისას, ისე გამოშვების დროს გამოირკვა, რომ პროპაგანდისტს ამხ. კ. ანთიძეს სკოლის მსმენელებში საკმაო მუშაობა გაუწევია მათი იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლებისათვის. ამხ. ანთიძეს კარგად დაუმუშავებია პროგრამით გათვალისწინებული საკითხები, კარგად იყო დაყენებული დასწრების აღრიცხვა, საჭიროების მიხედვით იგი სარგებლობდა რუკებით, სქემებით და სხვ. სკოლის მუშაობა საერთოდ შეფასებულ იქნა დამაკმაყოფილებლად.

გამოშვებისას 13 მსმენელიდან გამოცდა ჩააბარა 9 მსმენელმა. აქედან კარგზე 4-მა, დამაკმაყოფილებლად ხუთმა, კარგზე ჩააბარეს ა. ჩანტლაძემ, უშანგ და ვასო მაალაძეებმა და სხვ.

მიღწევებთან ერთად უნდა აღვნიშნოთ ნაკლიც. ამ პოლიტსკოლაში 2 წლის მანძილზე 3 პროპაგანდისტი შეიცვალა. პროპაგანდისტთა ხშირი ცვალებადობა უარყოფით გავლენას ახდენდა მეცადინეობის ხარისხზე. ამ და სხვა პოლიტსკოლების შემოწმების დროს გამოირკვა, რომ მრავალი პროპაგანდისტი ჯერ კიდევ არ ატარებს სკოლებში საუბრებს საერთაშორისო და მიმდინარე პოლიტიკის საკითხებზე; სკოლები ჯერ კიდევ საკმაოდ უზრუნველყოფილი არ არიან საჭირო სახელმძღვანელო ლიტერატურით. საჭიროა საქ. კ. პ. (ბ) ჩოხატაურის რაიკომის კულტპროპაგანყოფილებამ დროულად იზრუნოს ამ ნაკლის აღმოფხვრისთვის.

ვ. ალექსეევი.

პარტიული აგიტაციის კარგ მაგალითს იძლევა

(ჭიათურა, საკ. კორესპონდენტისაგან)

ორჯონიკიძის სახელობის მაღაროსთან არსებული პირველადი პარტიული ორგანიზაცია (პარტკომის მდივანი გ. კუბლაშვილი), უკანასკნელ ხანებში პარტიული მუშაობის საუკეთესო მაგალითს იძლევა.

კომუნისტების მიერ ბოლშევიზმის დაუფლებისათვის ამ მაღაროში დიდი მუშაობა ტარდება. პარტიისა და მთავრობის დადგენილებანი ღრმად მუშავდება როგორც პარტიულ კრებებზე, აგრეთვე ცვლებში და უბნებში. მაღაროს პარტიული ორგანიზაცია სისტემატურად ისმენს ცალკე აგიტატორების მოხსენებებს კრებებზე და აძლევს მათ კონკრეტულ მითითებებს აგიტაციის უკეთ წარმოებისათვის. აგიტატორები: მ. გაფრინდაშვილი, მოდებაძე და სხვები მუშაობის საუკეთესო ნიმუშს იძლევიან. მათ საგიტაციო უბნებში მომუშავენი სისტემატურად ეცნობიან პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების ყველა ღონისძიებებს და აგრეთვე საერთაშორისო მდგომარეობის საკითხებს. უკანასკნელად ისინი გულდასმით ამუშავებენ საქ. კ. პ. (ბ) მეთერთმეტე ყრილობის რეზოლუციას.

პროპაგანდისტი შ. მეცხოვრიშვილი დიდი გულმოდგინებით ეკიდება კომუნისტების მიერ ბოლშევიზმის დაუფლებისათვის ბრძოლის საქმეს. იგი სისტემატურად ესწრება პროპსემინარებს. ყოველთვის მომზადებული, კონსპექტით მიდის მეცადინეობაზე და საკითხის ამომწურავად შესწავლის მიზნით ყოველთვის იყენებს მხატვრულ ლიტერატურას.

კარგადაა დაყენებული თანამგრძნობთა შორის მუშაობაც. უკანასკნელ ორ კვირაში თანამგრძნობთა ჯგუფში მიიღეს 6 მოწინავე სტახანოველი, რომლებზედაც თვით პარტკომის მდივანი ამხ. კუბლაშვილია მიმაგრებული და ამზადებს მათ პარტიაში მისაღებად.

ორჯონიკიძის სახელობის მაღაროში დღითიდღე იზრდება წარჩინებულ ადამიანთა რიცხვი და ხდება მათი დაწინაურება: სტახანოველები მ. ბრეგვაძე, კ. ბრეგვაძე და დ. გამყრელიძე უკანასკნელ ხანებში დაწინაურებულ იქნენ ხელმძღვანელ სამუშაოზე.

ზ. გაფრინდაშვილი.

წისქვილ კომბინატის პარტიული კომიტეტის მდივანი - პროპაგანდისტი ამხ. დ. მ. ლევინი ატარებს მეცადინეობას ძირეულ აგიტატორებთან თემაზე: „სსრ კავშირის ამოცანები კაპიტალისტური გარემოცვის პირობებში“.
ფოტო ჩერკასოვისა („სოიუზფოტოს“ საქ. განყ.)

რას იტყვის რაიკომი?

(სიღნაღი, „კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტისაგან)

საქნავთის პარტორგანიზაციის საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე მკაცრად იქნა გაკრიტიკებული პარტიული პროპაგანდისა და პარტიული წრეების სუსტი მუშაობა. მოსალოდნელი იყო, რომ პარტკომის ახალი შემადგენლობა (მდივანი ვ. მღვდელაძე) ბოლშევიკურად მოჰკიდებდა ხელს და გააუმჯობესებდა პარტიულ პროპაგანდასა და პოლიტწრეების მუშაობას, მაგრამ ასე არ მოხდა. პარტიული პროპაგანდის დაყენების საქმეში ჯერ კიდევ მრავალი ნაკლოვანება არის.

პირველ ყოვლისა, სისტემატურად არ ტარდება პროპსემინარების მეცადინეობა. მაგალითად, 7 ივნისს პროპსემინარის მეცადინეობა არ ჩაუტარებია ხელმძღვანელს ვ. მღვდელაძეს.

ზოგიერთი პროპაგანდისტის დაუდევრობით ხშირად იფუშება მეცადინეობა. მაგალითად, პარტისტორიის წრის მეცადინეობა 14 ივნისს ჩაშალა პროპაგანდისტმა გ. ლომთაძემ.

საქნავთის პარტიულ ორგანიზაციაში პარტგანათლების 7 წრეა. აქედან პარტიის ისტორიის შემსწავლელი წრეებია—2 და საკანდიდატო—5. აღნიშნული წრეების მეცადინეობაზე ბევრი კომუნისტი არ ცხადდება, ხოლო პარტკომი გადამჭრელ ზომებს არ ღებულობს. 21 ივნისს პარტისტორიის იმ წრის მეცადინეობაზე, რომელსაც ამხ. ივ. კატინი ხელმძღვანელობს, 14 მსმენელიდან მხოლოდ 4 დაესწრო. მეცადინეობას უმიზეზოდ არ დაესწრნენ: შ. ბოსტაშვილი, ვ. დათუკაშვილი, ო. პეტრენკო, ფ. საპოჟნიკოვი, ივ. ზახაროვი, ლიაშევი, კ. აბესაძე და მირონ პეტრენკო. კატინის წრეში მეცადინეობაზე კომუნისტთა დაკლებას სისტემატური ხასიათი აქვს: 21 მაისს წრის მეცადინეობაზე 14 მსმენელიდან არ დასწრებია 5, 27 მაისს მეცადინეობაზე არ გამოცხადდა 7, 1 ივნისს—6, 7 ივნისს—9, 14 ივნისს—7 და ა. შ.

პროპაგანდისტების ამხ. რ. სავატელოვის, ნიკ. კვაჭანტირაძის, ვ. ბარბაქაძის და კ. გაპანენკოს წრეებში ზოგიერთი დაუდევარი მსმენელი, გათამამებული პარტკომის წაყრუებით, მეცადინეობაზე არ ცხადდება.

საქნავთის პარტიულ კომიტეტთან არსებობს პარტკაბინეტი, რომელსაც მუშაობის არავითარი გეგმა არ გააჩნია. პარტკაბინეტთან არ მუშაობს პროპაგანდისტთა სემინარი, კონსულტაციებსა და აქტივისათვის მოხსენებებზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. პარტკაბინეტის გამგე ლ. ხირსელი ამ თანამდებობაზე ერთი თვის წინათ იქნა დაწინაურებული; მან არ იცის, უფრო უკეთ როგორ მოაწყოს მუშაობა, დახმარებას კი არავინ უწევს.

აუცილებელია, რომ პარტიის სიღნაღის რაიკომის ბიურომ განიხილოს საქნავთის პარტორგანიზაციაში პარტიული პროპაგანდის გაუმჯობესების საკითხი.

ს. ყურაშვილი.

აჭარის ქალთა ახალგაზრდობის III ყრილობა

ბათუმი, 7 ივლისი (საქტასი). 7 ივლისს წითელი არმიის სახლში გაიხსნა აჭარის ქალთა ახალგაზრდობის III ყრილობა. 186 აჭარელი ქალიშვილი მოვიდა ყრილობაზე დაშორებული რაიონებიდან და სოფლებიდან. ყრილობის დელეგატთა შორის არიან საბჭოთა აჭარის წარჩინებული ქალიშვილები—სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი აიშე გურგენიძე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატები ნევრესტან შაშიკაშვილი, სეფურე ქიქავა, ფატუშა დუმბაძე. აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატები — ხატიჯე ბოლქვაძე, უმიინე მახარაძე, აიშე დათუნაიშვილი, ხატიჯე კაკაბაძე და სხვ.

ყრილობა გახსნა კომკავშირელმა, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა, აჭარის ცაკ-ის ინსტრუქტორმა ფატუშა დუმბაძემ. ხანგრძლივი ტაშით ყრილობა საპატიო პრეზიდიუმში ირჩევს საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს მთელ შემადგენლობას ხალხთა დიდი ბელადის — ამხანაგ სტალინის მეთაურობით.

აღტაცებული მისალმებით, შეძახილებით: „გაუმარჯოს დიდ სტალინს — აჭარელი ქალიშვილის ბედნიერი ცხოვრების შემომქმედს!“—შეეგებნენ დელეგატები საყვარელი ბელადის არჩევას ყრილობის საპატიო პრეზიდიუმში.

ყრილობის საპატიო პრეზიდიუმში არჩეული არიან აგრეთვე ამხანაგი ბერია, კრუპსკაია, კოსარევი, დიმიტროვი, დოლორეს იბარური და ხოზე დიასი.

ყრილობამ მოისმინა საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის მდივნის ამხ. თ. ბირკაძის მოხსენება აჭარის ქალთა ახალგაზრდობაში პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის წარმოების შესახებ.

შალვა დადიანი

როდიონ ქორქია

ფერხული

> „მეგობრობა სსრ კავშირის ხალხთა შორის—დიდი და სერიოზული მონაპოვარია. ვინაიდან სანამ ეს მეგობრობა არსებობს, ჩვენი ქვეყნის ხალხები თავისუფალი და უძლეველი იქნებიან. არავინ არ არის ჩვენთვის საშიში, არც შინაური, არც გარეშე მტრები, სანამ ეს მეგობრობა ცოცხლობს და დღეგრძელობს“.
>
> ი. სტალინი

I

უზბეკელმა დელეგატმა თავისი სიტყვა ასე დაამთავრა:

— ჩვენ გვაქვს მთელ მსოფლიოში საუკეთესო მარმარილო. რუსთაველის ძეგლისათვის ჩვენ ამ მარმარილოს გამოგიგზავნით.

დელეგატის სიტყვა ტაშმა დაჰფარა. ტარიელმა მეტი ვერა გაარჩია რა და ტრიბუნისაკენ გაექანა. ტრიბუნასთან მეგობრები შემოეხვივნენ და ტარიელი დელეგატს წარუდგინეს.

— აი, ესაა ის მოქანდაკე, თქვენი მარმარილოსაგან ძეგლი რომ უნდა გამოკვეთოს.

ტარიელმა დელეგატს თვალი თვალში გაუყარა. და გაიფიქრა:

— ეგ თვალები მართლა რომ გიშრისაა... რა ლამაზი ქალია.

— გამახარა თქვენმა სიტყვამ,—უთხრა ტარიელმა ქალს.—ჩემი ოცნება იყო ისეთი მარმარილო მქონოდა, რომლის ბადალი ქვეყანაზე არ ყოფილიყო.

— არ შეიძლება მაჩვენოთ თქვენი ატელიე?—ჰკითხა ქალმა.—გაზეთებიდან გავეცანი თქვენს პროექტს, მაგრამ პირადად მინდა ვნახო მაკეტი.

ლაპარაკში ახალგაზრდა კაცი ჩაერია.

— მე უკრაინელი მხატვარი ვარ, ტარას დოროშენკო. სურათს ვხატავ რუსთაველზე. ნება მომეცით მეც გაგყვეთ.

— როდესაც გნებავთ. — უპასუხა ტარიელმა.

— დრო რატომ დავკარგოთ? აი, თუნდაც ამ საღამოს,—და ქალმა შავ თვალებიდან ცეცხლი შეაფრქვია ტარიელს.

ტარიელს ქალის გამოხედვამ მახვილივით დაჰკრა. რამდენი თვალი უნახავს, მაგრამ ასეთი ცეცხლიანი თვალები არასოდეს.

მთელი საღამო, სანამ ქალი მოვიდოდა, ტარიელი ბურუსში იყო. უხაროდა, რომ მისი ახალგაზრდული გატაცება, მისი ოცნება—რუსთაველის ძეგლი—ხორცს ისხამდა. უხაროდა, რომ მწერალთა საკავშირო ყრილობაზე უზბეკეთმა ასეთი ძვირფასი საჩუქარი შესთავაზა საქართველოს. უხაროდა ისიც, რომ მოვიდოდა ის ქალი.

— რა მემართება? იმ ქალისა მხოლოდ სახელი ვიცი—მაჯუნა, მეტი არაფერი...—უსაყვედურა თავის თავს ტარიელმა.

ძეგლის მაკეტს მიეყრდნო. ჩაფიქრდა. გულში უცნაური სითბო იგრძნო, სულში რაღაცა ნათელი ჩაუდგა და ამღერდა...

უცებ ფეხებთან ყვავილი დაეცა. შეკრთა, მოიხედა. კარებში მაჯუნა და ტარასი იდგნენ.

— თქვენ ჩინებული მომღერალიც ყოფილხართ,—აღტაცებით წამოიძახა ტარასმა და ხელი ჩაჭიდა ტარიელს.

— ერთი ხანია ვდგავარ და ყურს გიგდებთ ასე მომეჩვენა თითქოს თქვენი ძეგლი გაცოცხლდა და ერთად მღეროდით,—უთხრა მაჯუნამ და ისევ ისე შეაფრქვია თვალების ცეცხლი.

— დღემდე ასე არ მიმღერია,—უპასუხა ტარიელმა. — დღემდე ასეთი თვალებიც არ მინახავს.

მაჯუნა შეკრთა. ერთხანს გარინდებული იდგა. თითებში ყვავილი აუკანკალდა. შემდეგ გაიცინა.

სტუმრები დიდხანს უყურებდნენ რუსთაველს. ბოლოს ტარასმა სთქვა:

— ბრძენიც არის და ვაჟკაციც... სწორედ ასეთი უნდა ყოფილიყო რუსთაველი...

2

— არა, ის მარმარილო არ მომწონს. უკეთესი უნდა მოვძებნოთ, — უთხრა მაჯუნამ ბრიგადას.

ბრიგადა მარმარილოს შემოხვეოდა. სინჯავდა. ათვალიერებდა.

— გაგვაწყვეტს მაგ მარმარილომ,—ჩაიბუზღუნა ერთმა,—ერთი თვეა ამ მთაგორებში დავეხეტებით.

— რას ამბობ? — შეუტია მას,—ეგ საერთო საქმეა. მაჯუნა მიუახლოვდა უკმაყოფილოს:

— შენ, ამხანაგო ფიატულა, დაგავიწყდა, რას გვეძახდნენ ოქტომბრის რევოლუციამდე?

— რატომ დამავიწყდა? სართებს გვეძახდნენ.

— ესე იგი ძაღლებს...—და მაჯუნამ ხმას აუწია,—ოქტომბრის რევოლუციამდე უზბეკ ხალხს ძაღლებს გვეძახდნენ მეფის ჩინოვნიკები. ახლა ჩვენ ჩვენი სახელი დავიბრუნეთ და ჩვენს ხალხს ვერავინ წაართმევს მას. იცი რატომ? ვინმემ რომ გაბედოს ჩვენი სახელის წართმევა, წამოდგება რუსეთი, უკრაინა, საქართველო. ჰო და, შენ რატომ გშურს კარგი მარმარილო?...

— არა, მე რატომ მშურს,—ჩაილაპარაკა ფიატულამ.

— ჰო და, სიტყვა რომ მივეცით უნდა შევასრულოთ. საქართველო ბელადის სამშობლოა... უნდა მოვძებნოთ საუკეთესო მარმარილო.

— მოვძებნოთ! მოვძებნოთ! — დასძახეს ბრიგადელებმა და განაგრძეს ძებნა.

მაჯუნამ ვერც კი შენიშნა, თუ როგორ მოშორდა საგამოკვლევო ჯგუფს. ერთ დიდ კლდეს მიადგა და დააკვირდა. მისი კალთა ძირს დაქანებულიყო და ტერასებად ჩადიოდა ხრამში. ირგვლივ სიჩუმე იყო და მაჯუნა ფიქრებს მიეცა.

იქ, თბილისში, მოქანდაკის ატელიეში, იმ საღამოს უცნობი და განუცდელი დაიძრა გულში. მას შემდეგ ის რაღაცა სულ უფრო და უფრო მძიმდება. რა არის ნეტავ?

რაღაცამ ტკაცანი [illegible] და მთიდან მიწა ჩამოგორდა. მაჯუნამ აიხედა. უზარმაზარი ვეფხვი დაჰყურებდა ზევიდან.

მაჯუნამ რევოლვერი მოსინჯა. თან გაიფიქრა: ჰმ... რევოლვერი რას უზამს ამ გოლიათს? შუაში ხრამია. აი ეს კლდე რომ ხრამში ჩაიქცეს გზას გადაუღობავს, დროს მოვიგებ გასაქცევად...“

სასწრაფოდ გახსნა ჩანთა. პიროქსილინის სანთელი ამოიღო, კლდის ძირას ჩასდო, მოუკიდა, გაიქცა.

ვეფხვმა საშინელი ნახტომი გააკეთა, ხრამს გადაევლო, კლდეს მოექცა და კვლავ დაიძახა, აიწურა.

მაჯუნამ მოიხედა.

— თუ აფეთქდა გადავრჩი,—და რადგან სირბილით თავს ვერ უშველიდა, ყარაღაჯზე ავიდა.

ის-ის იყო ვეფხვი მოსწვდა კლდის და კლდეც მოსწყდა საუკუნეობით დამკვიდრებულ ადგილს. საშინელი ღრიალი საშინელმა გრიალმა შთანთქა.

მთამ თავისი მკერდიდან შვილ-კლდის მოგლეჯა მეორე მთას გადასძახა. მეორემ მესამეს აცნობა. მესამემ მეოთხეს დაუყვირა. „უუუ!“, მიუსამძიმრეს კლდემოგლეჯილ მთას.

როცა მთების გადაძახილი მიწყნარდა, მაჯუნამ დაინახა: კლდე ჩამონგრეულიყო, გასისხლიანებული ვეფხვი შორი-ახლოს იწვა. ქვემოდან მორბოდნენ ბრიგადელები. წინ ფიატულა გამოქანებულიყო.

ჩამონგრეულ კლდის რომ მიუახლოვდნენ, ერთხმად დაიძახეს:

— საბადო! საბადო!

საუცხოო მარმარილოს საბადოს მკერდი გამოჩნდა.

მაჯუნამ იოხუნჯა:

— ვეფხვმა აღმოაჩინა შესამკობი იმ პოეტისა, რომელმაც ვეფხვი შეამკო...

— როგორ ვწუხდი, ამხანაგო მაჯუნა,—უთხრა მაჯუნას ერთმა ბრიგადელმა.—ვაი თუ ვერ მოვძებნოთ ჩვენი საქმისათვის ღირსეული და შესაფერისი მარმარილო-მეთქი...

3

უზარმაზარი გემი კასპიის ზღვის ტალღებს მიარღვევს. გემბანზე მაჯუნა და ტარიელი დგანან, სივრცეს გაჰყურებენ.

— კარგი ჰქენით, რომ ჩამოდით,—ღიმილით ამბობს მაჯუნა.

— განა სხვას ვანდობდი ამ შესანიშნავი მარმარილოს წამოღებას?—გაიცინა ტარიელმა.—ჩემთვის ეს შრომა სახელისა და დიდების საქმეა.

— ჩემთვისაც,—დაუმატა მაჯუნამ.

— მოემზადეთ ფრთონისათვის!—გაისმა კაპიტანის ბრძანება.

ზღვას შავმა ფერმა დაჰკრა. ტალღები შეტორტმანდნენ. შორს, ცის კიდურს, შავი ღრუბლები დაეკიდა.

— მოემზადეთ ფრთონისათვის!—[illegible] მთელ გემს.

ქარიშხალი უცებ მოვარდა, ვებერთელა გემი ბურთივით აათამაშა. ზღვა აიშალა. ჩამობნელდა.

— გაუძლებს გემი?—ჰკითხა ტარიელმა.

— კუნძულია ახლოს, თუ იმას არ მიგვახეთქა,—უპასუხეს მეზღვაურებმა.

ფრთონამ იმატა. გემმა მისცა ნიშანი SOS.

— ჩაუშვით ნავები! გაიკეთეთ საშველი წრეები!—გასცა განკარგულება კაპიტანმა...

ტარიელი გონს რომ მოვიდა, გაახსენდა: გემი იძირებოდა, მაჯუნას საშველი წრე გაეკეთებინა და ზღვაში ხტებოდა.

— ლოდი არ დაიკარგება,—ანუგეშა კაპიტანმა ტარიელი.—ბაქოდან, ასტრახანიდან, კრასნოვოდსკიდან მაშველი გემები და მყვინთავები მოვიდნენ. ფრთონამ კუნძულს მიგვანარცხა. გემის ამოღება ძნელი არაა. მყვინთავებმა ლოდის ამბავი გაიგეს და გაფთრებით მუშაობენ. ხალხი გვეხსნა მხოლოდ... ცხრა კაცი დაგვეღუპა ეკიპაჟიდან და ერთიც ქალი...

— ვინ ქალი?

— უზბეკელი საქართველოში მიდიოდა თურმე...

4

— მე დიდად მოხარული ვარ, ამხანაგო ტარიელ, რომ ასეთ დიდს საქმეს მანდობთ, შევძლებ კი?

— შესძლებთ, ამხანაგო თაძახან! ეს იქნება ჩვენი მეგობრობის საწინდარი... მე კი, მე არ შემიძლია მაჯუნა არ მოვძებნო. კუნძული ნაპირის ახლოს იყო, ეგებ გამორიყა სადმე. ან მკვდარს ვიპოვი, ან ცოცხალს... შენ უპატრონე მარმარილოს, ჩაიტანე თბილისს და შეუდექი მუშაობას. თბილისში ჩემი მეგობარი მხატვარი ტარას დოროშენკო დაგხვდება. ხელს შეგიწყობს. დარწმუნებული ვარ, არ გაგიძნელდებათ ძეგლზე მუშაობა. თქვენ საუცხოო მოქანდაკე ბრძანდებით. არა მარტო აზერბაიჯანი, საქართველოც ამაყობს თქვენი შემოქმედებით...

— ჩვენ ენაზე ისე ლამაზად გაისმის რუსთაველი, რომ ღირსებად მივიჩნევ მონაწილეობა მივიღო საერთო საქმეში...

და თამაზანმა თავს იდო ძეგლზე მუშაობა. ტარიელი კი კასპიის ნაპირებს დაჰყვა.

— ვინ მოსთვლის რამდენი სიცოცხლე შთაუნთქავს ამ ზღვას და არ დაუბრუნებია, რაღა მაჯუნას დააბრუნებს?—ეუბნებოდა ტარიელი თავის თავს, მაგრამ მაინც ეძებდა, ეგებ სადმე წავაწყდეო...

დარუბანდის ახლოს, მეთევზეთა არტელს დიდძალი თევზი დაეჭირა და აბარებდა. გახურებულმა მუშაობამ ტარიელიც გაიტაცა და მუშებში ჩადგა. ისე მადლიანად იმუშავა, რომ მუშებმა მადლობა უთხრეს, ერთი დიდი ზუთხიც შესთავაზეს. ტარიელმა მადლობა გადაუხადა და თავისი მოსვლის მიზეზი უამბო მეთევზეებს. მეთევზეები შეწუხდნენ.

— ხასან,—უთხრა მოხუცმა მეთევზემ ერთ ახალგაზრდას.—მიჰყევი სტუმარ ამხანაგს შარიფის არტელში. სწორედ იქ გამორიყა ზღვამ ადამიანი. ძალიან დაზიანებული იყო და შარიფმა აეროპლანი გამოიძახა ტელეფონით...

— ახლავე!—და მეორე ახალგაზრდა წამოვარდა ზეზე.—ეს ისეთი საქმეა, რომ ყველას გაუხარდება, თუ კარგად დათავრდა.

შემდეგ მიუბრუნდა თავის ამხანაგებს და სთქვა:

— ჩვენ ყველას: აზერბაიჯანელებს და ქართველებს, უზბეკებს და რუსებს, და ყველას, ყველა რესპუბლიკას უნდა გვიხაროდეს ერთიმეორის გამარჯვება. ჩვენ გვაერთიანებს ურყევი, მტკიცე მეგობრობა... და ხელი უნდა შევუწყოთ ერთმანეთს. მე წამიკითხავს მარმარილოს ამბავი და ძალიან გამეხარდა. წავიდეთ...

— ჯაფარ ჩვენი პარტორგია,—გააცნო მოხუცმა მეთევზემ ტარიელს ჯაფარი.—მართალს ამბობს ჯაფარი... თქვენი გამარჯვება ჩვენი გამარჯვებაა...

5

— მეორე საკითხად, ამხანაგებო, პარტიაში ახალი წევრების მიღების საკითხი დგას, — გამოაცხადა თავმჯდომარემ და ფართო შუბლზე ხშირი ქერა თმები აიკეცა.—განცხადება შემოტანილი აქვს უმაღლესი საბჭოს დეპუტატს...

უცებ კარი გაიღო და აღელვებული ასისტენტი შემოვიდა.

— ამხანაგო რუსახოვ, მაპატიეთ, რომ პარტიულ კრებაზე შემოვიჭერი. მაგრამ ახალი პაციენტი ცუდადაა. ნაწილობრივ შეხსნა და გრძნობა დაეკარგა. თქვენს მეტი ვერავინ უშველის.

რუსახოვი ადგა. კრებას გადახედა.

— ამხანაგებო, ადამიანი ყველაზე ძვირფასი კაპიტალია ჩვენს სამშობლოში. უნდა ვუშველო.

საოპერაციო მაგიდაზე გრძნობადაკარგული მაჯუნა იწვა. გატეხილი თავის ქალიდან სისხლი უჟონავდა. ყრუდ გმინავდა. ებრძოდა სიკვდილს...

რუსანოვს წარმოუდგა: წუხელის მთელი ღამე არ უძინიათ მასა და ტარიელს. შოთას გმირებს დაჰყვებოდნენ ინდოეთიდან ქაჯეთამდე, მოაბიჯებდნენ საუკუნეებში და საბჭოთა ეპოქაში ხედავდნენ [illegible] არაბისა და მულღაზანზარელ მეგობრობის გამოსხივებას. მეგობრული სიახლოვე იგრძნეს ერთმანეთისადმი და რუსანოვმა უთხრა ტარიელს:

—სიტყვას გაძლევთ, რომ მოგირჩენ მაჯუნას. მაჯუნას მორჩენა მეც დიდ მორალურ კმაყოფილებას მანიჭებს, რადგან ამით საშუალება მეძლევა ჩემი წვლილი შევიტანო ჩვენს საერთო საქმეში...

ახლა რას იფიქრებს ტარიელი, თუ მაჯუნა მოკვდა?

„ვგმობ კაცსა უგულოსა, ცრუსა და ღალატიანსა“...

რამდენიმე დღის შემდეგ რუსანოვი ღიმილით ეუბნებოდა მაჯუნას:

— ვშიშობდი, ვაი თუ ვერ გამოვგლიჯო სიკვდილს ახალი მეგობარი-მეთქი.

— თქვენ ჯადოქარი ყოფილხართ,—გაუღიმა მაჯუნამ.

6

რუსანოვის პატივსაცემად გამართულ ბანკეტზე ტარიელმა მოსკოველი მეგობრები მოიწვია. გამოჩენილ დოსტაქარს გულთბილად შეხვდნენ. რუსანოვის სადღეგრძელო რომ შესვეს, „მრავალ-ჟამიერ“ იმღერეს.

— მომწონს თქვენი ცეკვა-სიმღერა,—სთქვა რუსანოვმა.—ქართული ხელოვნების დეკადას დავესწარი და ახლაც სიამოვნებით ვიგონებ.

— თქვენ მე სიცოცხლე შემინარჩუნეთ,—უთხრა მაჯუნამ რუსანოვს.—არ ვიცი, რითი გადაგიხადოთ

— გადარჩენილი სიცოცხლე უკვე ანაზღაურებაა,—უპასუხა რუსანოვმა.

— თქვენ სთქვით, ცეკვა მიყვარსო, მე გიცეკვებთ...

მაჯუნა ადგა. პატეფონში ახალი ფირფიტა ჩასდო.

— ეს ჩვენი ცეკვაა, უზბეკური.

ხან ისე დაიქროლებდა, თითქოს ტანში ბარი ჩაუდგაო, ხან ისე დაიგრიხებოდა, თითქოს ერთი ძვალიც არა აქვსო. როდი ცეკვავდა, მღეროდა მთელი ტანით.

უცებ კარი გაიღო და ტარიელს დეპეშა მოუტანეს:

— კარელიიდან იტყობინებიან,—სთქვა ტარიელმა.—ძეგლის მოაჯირისათვის წითელ ხეს ვამზადებთო... ხვალ უნდა გავემგზავრო დასათვალიერებლად.

— თუ შეიძლება, მეც წამიყვანეთ,—სთხოვა მაჯუნამ...

როცა იშლებოდნენ, რუსანოვმა ხელში თბილად გაიჩერა მაჯუნას ხელი.

— მეგობრად, მხოლოდ მეგობრად,—და ქალმა მაგრად მოუჭირა ხელი.

7

კარელიაში, სეგოზეროს ტბის ნაპირებზე, ხე-ტყის დამამუშავებელი არტელი „წითელი არყი“ ერთი ხანია გამალებით ეძებს საუკეთესო წითელ ხეს. ერთხელ ამ არტელის წევრებს მათმა თანამემამულე ნინელმა მოხსენება წაუკითხა რუსთაველის თემაზე და გააცნო „ვეფხის-ტყაოსნის“ ერთი თავის თარგმანი. უამბო მარმარილოს და ძეგლის ამბავიც. გლეხებს მოეწონათ და ერთმა წინადადება შემოიტანა:

— იმ ძეგლისათვის ჩვენც ვიმუშაოთ. გავუგზავნოთ საქართველოს ჩვენი განთქმული წითელი ხე. მე ვფიქრობ გამოიყენებენ, მაგალითად, მოაჯირისათვის...

და ის იყო, ტარიელს ცნობა გაუგზავნეს, ხეც შერჩეული ჰქონდათ, მაგრამ ახლა ახალი ძირი იპოვნეს, საუცხოო რამ, და აღტაცებით ათვალიერებდნენ. გადასწყვიტეს ეს ძირი შესთავაზონ ტარიელს.

— სამოცი წელია ამ ტყეებში დავდივარ და ჯერ ასეთი ძირი არ მინახავს,—ამბობდა ერთი მოხუცი გლეხი,—ოღონდ ისე უნდა მოვჭრათ და გამოვიტანოთ, რომ ერთი მანკიც არ ჰქონდეს.

— ამხანაგებო! — გაისმა ბრიგადირის ხმა,—ჩვენს სამუშაოთა დასათვალიერებლად ლენინგრადიდან ევროპის მუშათა დელეგაცია გვესტუმრა.

— ამისთვის ჩამოვიდა დელეგაცია? —გაუკვირდა მოხუცს.

— არა. დელეგაცია საპირველმაისო დღესასწაულზე ჩამოვიდა. თეთრი ზღვის არხი დაათვალიერა და ჩვენც გამოგვიარა.

დელეგაციისა და არტელის წევრები ერთმანეთს მიესალმნენ. შერჩეული ხე არტელის წევრებსაც მოეწონათ.

— აი, ამაში ბევრ ფულს იღებთ,—დაასკვნა დელეგაციის თავმჯდომარემ, ერთხელ კიდევ ახედა ხის სიმაღლეს და სიგარის ბოლი ცაში აუშვა.

— ეს ხე არ იყიდება.

— როგორ თუ არ იყიდება?

დელეგაციის წევრებს ხის დანიშნულება აუხსნეს. ისიც უთხრეს, თუ რამდენი შრომადღე უნდა გაიღონ არტელის წევრებმა უსასყიდლოდ, რომ ეს ხე რკინიგზამდე მიიტანონ და ჩააბარონ.

დელეგაციის წევრებმა ერთმანეთს გადახედეს.

— ჰოო, ასეთი ამბები ევროპაში არ შეიძლება,—სთქვეს დელეგაციის წევრებმა.—ჩვენში ერთმანეთს სჭამენ, თქვენი ქვეყნის სხვადასხვა ხალხი კი ძმები და მეგობრებია ერთმანეთისა.

ეს საუბარი დელეგაციის თავმჯდომარემ ასე დაასკვნა:

— მშვიდობიანობის დროს რომ ასე მეგობრობთ ერთმანეთს, წარმომიდგენია რა იქნებით, თუ ომი ატყდა... სწორედ რომ ჩვენი დროის საუკეთესო ადამიანები ხართ... ჩვენ ამას გადავცემთ ევროპის მუშებს...

8

— ხე გაგზავნილია, მეტი რაღას უნდა ვუცადოთ აქ? წავიდეთ,—არწმუნებდა მაჯუნა ტარიელს.

— ამაღამ ნინელი „ვეფხის-ტყაოსნის“ თარგმანს წაგვიკითხავს,—უპასუხა ტარიელმა.—ნინელი განათლებული ქალია, შრომას სწერს „ვეფხის-ტყაოსანზე“ და საქართველოში სურს წამოსვლა მასალების შესასწავლად. საინტერესოა, როგორ გაიგო კარელიელმა ქალმა რუსთაველი.

საღამო იყო, ნინელი და ტარიელი ტექსტს რომ ჩაუსხდნენ. მაჯუნამ ერთხანს დაუგდო ყური, მაგრამ ბევრი ვერა გაიგო რა. ნეოპლატონიზმი, სუფიზმი, ემანაცია, სოლარიზმი, რენესანსი უცხო სიტყვები აღმოჩნდა მისთვის. მაჯუნამ იგრძნო, რომ კარელიელი კომკავშირელი ნინელი მასზე ძლიერი იყო და უფრო ახლოსაც იდგა ტარიელთან.

და სანამ ტარიელი ნინელს უსმენდა, მაჯუნამ თავისი ჩემოდანი გაამზადა.

ტარიელს მხოლოდ პატარა ბარათი დახვდა:

„ნუ მეძებ. ვიცი, გულს თავისი გზა აქვს და კანონი“...

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

ჩან კაი-ში იაპონია-ჩინეთის ომის პირველი წლის შედეგების შესახებ

ხანკოუ, 7 ივლისი (საკდესი). საკდესის კორესპონდენტთან ინტერვიუში ჩინეთის სამხედრო საბჭოს თავმჯდომარემ ჩან კაი-შიმ შეაფასა ჩინეთის ახლანდელი მდგომარეობა, შექმნილი იაპონიასთან წარმოებული ომის ერთი წლის შემდეგ.

„ომის ერთი წლის განმავლობაში, — ამბობს ჩან კაი-ში, — ჩვენ მოკლულთა და დაჭრილთა სახით დავკარგეთ 500 ათასზე მეტი ჩინელი მებრძოლი. ოკუპირებულ რაიონებში ჩვენს ძმებს აბუჩად იგდებენ და აწამებენ. მოშლილია ჩვენი ქვეყნის ეკონომიკა, მტრის არმიის მიერ განადგურებულია მრავალი კულტურული დაწესებულება, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ჩინეთის ერთიანობა დღითი-დღე მტკიცდება. ჩინეთის ისტორიისათვის უცნობია ხალხის მასების ასეთი ერთიანობა და დარაზმულობა, როგორიც ამჟამად არსებობს. ხალხი უშიშროების უმაღლითო სულისკვეთებითაა გამსჭვალული. ერთი წლის განმათავისუფლებელი ომის განმავლობაში ჩინელმა ხალხმა ისწავლა კიდევ უფრო მეტი შეუპოვრობა, მოთმინება და გმირობა. მტრის ანგარიში, რომ ომს სწრაფად დაამთავრებდა, დღეს მთლიანად ჩაფუშულია. რაც უფრო მეტ ხანს აწარმოებს ჩინეთი ომს, მით უფრო მტკიცე და უფრო ძლიერი ხდება იგი. შემდეგში განმათავისუფლებელი ომი ჩვენგან კიდევ უფრო მეტ ტანჯვასა და მსხვერპლს მოითხოვს, მაგრამ ამასთან ერთად მატულობს ჩინელი ხალხის გამარჯვების გარანტიაც. გამარჯვების უზრუნველსაყოფად ჩინეთმა უნდა მოახდინოს კიდევ უფრო მეტ ადამიანთა და მატერიალურ რესურსთა მობილიზაცია. საჭიროა აგრეთვე განვამტკიცოთ ჩვენი სახელმწიფოებრიობა. ჩინეთმა თავის ბრძოლაში დახმარება უნდა მიიღოს სხვა ქვეყნებისაგან. ჩინელი ხალხი იბრძვის თავისი საკუთარი დამოუკიდებლობისა და არსებობისათვის, ამავე დროს ეს ბრძოლა ემსახურება მთელს მსოფლიოში მშვიდობიანობისა და სამართლიანობის დაცვის მიზნებს.

ყველა მეგობრული სახელმწიფოს დახმარება ჩინეთის განმათავისუფლებელ ომში არსებითად წარმოადგენს მათი მოვალეობის შესრულებას საერთაშორისო მშვიდობიანობისა და საერთაშორისო ხელშეკრულებათა მიმართ. ომის დასაწყისიდანვე ის სიმპატიები და დახმარება, რასაც სსრ კავშირისა და სხვა მეგობრული სახელმწიფოების ხალხები უცხადებენ და უწევენ ჩინეთს, ალფრთოვანებს ჩინეთის არმიასა და ჩინელ ხალხს. იაპონიის უგუნური აგრესიული მოქმედება რომ აღიკვეთოს, მსოფლიოს ყველა მეგობრული სახელმწიფო, რომლებიც აგრესიის წინააღმდეგ ილაშქრებენ, ყველა სახელმწიფო—ერთა ლიგის წევრი კიდევ უფრო შორგამიზნული კონკრეტული განცხადებებით უნდა გამოვიდნენ, ამ გზით შესაძლებელი გახდება უფრო სწრაფად მივაღწიოთ წარმატებას ჩინეთის განმანთავისუფლებელ ომში და განვამტკიცოთ მშვიდობიანობა მთელს მსოფლიოში".

შეეხო რა გომინდანისა და ჩინეთის კომუნისტური პარტიის თანამშრომლობის საკითხს, ჩან-კაი-შიმ განაცხადა: „ჩინეთისათვის დღეს მხოლოდ ერთი საკითხი არსებობს: მთელი ერის სიცოცხლე ან სიკვდილი. თუ მთელი ჩვენი ქვეყნის ხალხს არ სურს სახელმწიფოს და ერის დაღუპვა, მაშინ ყველამ უნდა უკუაგდოს თავისი წინასწარ აკვიატებული შეხედულებანი და მთელი ძალა მოახმაროს ნაციონალური კრიზისის ლიკვიდაციას. ჩინეთის კომუნისტური პარტიის დეკლარაცია, რომელშიც იგი გამოსთქვამს სურვილს აწარმოოს გმირული ბრძოლა სუნ-იატ-სენის სამი სახალხო პრინციპის რეალიზაციისათვის, წარმოადგენს გადაწყვეტილებას, რომელიც გამოხატავს მის ერთგულებას ერის ინტერესებისადმი. ჩინეთისათვის დღეს ერთიანობა და დარაზმულობა საჭიროა ისე, როგორც არასოდეს. მით უფრო საჭიროა ერთიანი ხელმძღვანელი ძალა განმათავისუფლებელ ომში. ამიტომ ჩინეთის კომუნისტურმა პარტიამ უნდა ითანამშრომლოს ყველა სხვა პარტიასთან და გომინდანის ხელმძღვანელობით გააერთიანოს ძალები ქვეყნის დაღუპვისაგან სახსნელად.

ფაქტებმა დაგვანახვეს, რომ კომპარტიას მთლიანად და სავსებით ესმის ერის წინაშე მდგარი ამოცანები და იგი ცხადჰყოფს თავის გულწრფელობას ჩვენი ქვეყნის გაერთიანებისა და ხსნის საკითხებში".

მდგომარეობა ჩეხოსლოვაკიაში

მოლაპარაკება ჰენლაინელებთან

პრაღა, 8 ივლისი (საკდესი). გუშინ პრემიერ მინისტრმა ჰოჯამ შინაგან საქმეთა მინისტრის ჩერნის თანდასწრებით კვლავ მიიღო სუდეტელ გერმანელთა პარტიის დელეგაცია დეპუტატების კუნდტ როშეს და პეტერსის შემადგენლობით. ჰენლაინელებმა მთავრობისაგან მოითხოვეს ჰენლაინელ ბურჯომისტრების და მათი მოადგილეების დაუყოვნებლივ დამტკიცება იმ ქალაქების მუნიციპალიტეტებში, სადაც სუდეტელ გერმანელთა პარტიას უმრავლესობა ჰყავს (ჩეხოსლოვაკიის კონსტიტუციის თანახმად, ადგილობრივ თვითმართველობათა თავმჯდომარეებს ამტკიცებს შინაგან საქმეთა სამინისტრო).

როგორც სარწმუნო წყაროებიდან იუწყებიან, მთავრობამ და კოალიციური პარტიების საპარლამენტო კომისიამ გადასწყვიტა მაქსიმალურად დააჩქარონ „ეროვნებათა კოდექსის" გარშემო წარმოებული მოლაპარაკების დამთავრება. უახლოესი კვირის განმავლობაში დამთავრდება მთავრობის მოლაპარაკება ყველა პოლიტიკური პარტიის წარმომადგენლებთან, მათ შორის ჰენლაინელებთანაც, და საბოლოო რედაქცია გაუკეთდება კოდექსის პროექტის ტექსტს. პარლამენტის მოწვევა კოდექსის პროექტის განსახილველად დანიშნულია 21 ივლისისთვის.

ესპანეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს მიმართვა

ბარსელონა, 8 ივლისი (საკდესი). ესპანეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ გამოაქვეყნა მიმართვა იმ დღუმარეობის გამო, რომელშიაც რესპუბლიკა იმყოფება ომის მეორე წლისთავზე. აღნიშნავს რა მიღწეულ წარმატებებს, სახელდობრ ესპანეთის ყველა ხალხის ერთიანობის განმტკიცებას, რესპუბლიკის თავდაცვისუნარიანობის გაძლიერებას, პოლიტბიურო აცხადებს, რომ იგი აბსოლუტურად დარწმუნებულია ხალხის საბოლოო გამარჯვებაში. გზა გამარჯვებისაკენ, — ნათქვამია მიმართვაში, — გრძელია. დამპყრობლები ახალ გააფთრებულ იერიშებს ამზადებენ, მაგრამ ესპანელ ხალხს დიდი გამოუყენებელი რეზერვები მოეპოვება, რომლებიც ჩაბმულ უნდა იქნან საერთო საქმეში. ომის მეორე წლისთავზე ლოზუნგებად უნდა გვქონდეს: „ხალხის ერთიანობა", „ყველა რესურსის სწრაფი მობილიზაცია" და „გამარჯვების მტკიცე რწმენა".

პოლიტბიურო წინადადებას აძლევს კომპარტიის ადგილობრივ ორგანიზაციებს დაუკავშირდნენ ყველა ანტიფაშისტურ ორგანიზაციას საყოველთაო-სახალხო მობილიზაციის საერთო გეგმის შემუშავებისა და ცხოვრებაში გატარებისათვის.

ნორვეგიის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილება

ესპანეთის გემის შესახებ

სტოკჰოლმი, 8 ივლისი (საკდესი). ნორვეგიის უმაღლესმა სასამართლომ დაადგინა, ესპანეთს გადაეცეს ესპანეთის გემი „გერნიკა", რომელიც ტრომსში იმყოფება. როგორც უკვე ვიუწყებოდით, ესპანელ მეამბოხეთა ხელისუფლება ბოიკოტით ემუქრება ნორვეგიის ნაოსნობას იმ შემთხვევაში, თუ გემი „გერნიკა" ესპანეთს გადაეცემოდა.

მეამბოხეთა ხელისუფლების ამ თავხედური მუქარის გამო ნორვეგიის საგარეო საქმეთა მინისტრმა კოტმა განაცხადა, რომ ეს მუქარა სრულიად დაუსაბუთებელია და ნორვეგიის მთავრობას განზრახვა არ აქვს ანგარიში გაუწიოს მას.

ინგლისისა და საფრანგეთის საელჩოთა შენობების ბომბარდირება

ბარსელონა, 8 ივლისი (საკდესი). ვალენსიის მახლობლად მდებარე სოფელ პერელიოს ბომბარდირების დროს ფაშისტების თვითმფრინავებმა ტყვიამფრქვევები დაუშინეს იმ კარმიდამოებსა და შენობებს, რომლებიც ეკუთვნიან ინგლისის საელჩოს და საფრანგეთის საკონსულოს. სოფელი პერელიო, იქ დიპლომატიური კორპუსის ყოფნის გამო, გამოცხადებული იყო ნეიტრალურ ზონად, რაც არ შეიძლებოდა არ სცოდნოდათ ფაშისტ მფრინავებსა და მათს სარდლობას. გარდა დიპლომატიური კორპუსისა, ამ სოფელში მოთავსებულია აგრეთვე ვალენსიის ობოლი ბავშვებისა და მოწაფეების კოლონიები. უკანასკნელი ბომბარდირების დროს სოფელ პერელიოში მოჰკლეს ერთი და დასჭრეს ორი ქალი.

რესპუბლიკელებმა ჩამოაგდეს ფაშისტების 42 თვითმფრინავი

7 ივლისს შუადღისას იტალიის 10 სამმოტორიანმა თვითმფრინავმა რამდენიმე ყუმბარა ჩამოაგდო ქალაქ ფიგერასის მიდამოებში (საფრანგეთის საზღვართან) და სწრაფად მიიმალა, რადგან მათ დაედევნენ რესპუბლიკის ავიაგამანადგურებლები.

იმავე დღეს საღამოს ფაშისტების ერთმა ჰიდროპლანმა ყუმბარები დაუშინა სოფელ ესტიველიას (საგუნტოს მახლობლად). სოფელში დანგრეულია 7 სახლი და მოკლულია ერთი ქალი.

ესპანეთის თავდაცვის სამინისტროს ცნობებით, ივნისის განმავლობაში რესპუბლიკელებმა ჩამოაგდეს ფაშისტების 42 თვითმფრინავი, მათ შორის 15 დიდი ყუმბარმშენი. ამასთან 9 თვითმფრინავი ჩამოგდებულ იქნა საზენიტო არტილერიის მიერ და 33 თვითმფრინავი — რესპუბლიკელი მფრინავების მიერ საჰაერო ბრძოლის დროს. რესპუბლიკელთა ავიაციამ ივნისის განმავლობაში დაჰკარგა 18 თვითმფრინავი.

მეამბოხეთა ზურგში

პარიზი, 8 ივლისი (საკდესი). ესპანის საავენტო სარწმუნო წყაროებიდან მიღებული ცნობების საფუძველზე იუწყება, რომ გენერალ ფრანკოს გერმანელი და იტალიელი ბატონ-პატრონების წინააღმდეგ გენერალ იაგუეს მიერ წარმოთქმულ სიტყვასთან დაკავშირებით, მეამბოხეების ხელისუფალთა ბრძანებით დაპატიმრებულ იქნა დაახლოებით 700 კაცი. დახვრიტეს 11 გვარდიელი, 6 ფლანგისტი და არმიის 1 კაპიტანი. ყველა დახვრეტილს ბრალს სდებენ იმაში, რომ ისინი მონაწილეობას იღებდნენ მოძრაობაში ფრანკოს წინააღმდეგ.

იდენის გამოსვლა

ლონდონი, 8 ივლისი (საკდესი). გუშინ სტრატფორდში სიტყვა წარმოსთქვა ყოფილმა საგარეო საქმეთა მინისტრმა იდენმა.

„ზოგიერთი ჩვენგანი, — განაცხადა, სხვათა შორის, იდენმა, — აძჯობინებდა, რათა ინგლისის მთავრობა უფრო ვადამწყვეტ პოზიციას დასდგომოდა იმ ამბების მიმართ, რომლებიც უკანასკნელი 6 თვის მანძილზე მოხდა ხმელთაშუა ზღვაში. ინგლისის მთავრობის პოლიტიკა, — განაცხადა შემდეგ იდენმა,— შეიძლება სხვადასხვანაირად შეფასდეს, მაგრამ სავსებით ცხადია, რომ არ შეიძლება „ომის წაქეზება" ვუწოდოთ მოთხოვნას, რომ ინგლისმა გადამწყვეტი ზომები მიიღოს თავისი კანონიერი ინტერესებისა და საერთაშორისო მორალის პრინციპების დასაცავად".

ნაქერალის გზაზე უნდა იაროს ავტობუსებმა

(წერილი რაჭიდან)

რა დიდი სიხარულით, რა დიდი იმედებით იზეიმეს ამბროლაურის რაიონის მშრომელებმა 1936 წელს ტყიბულ-ამბროლაურის გზატკეცილის მშენებლობის დამთავრება და ამ გზატკეცილის ოფიციალურად გახსნა. პირველმა ავტომობილმა, რომელმაც პირველად გადაიარა ნაქერალის ქედი, უსაზღვრო სიხარული მიიტანა ქვემო რაჭაში, მაგრამ ეს სიხარული, დაე ნუ ეწყინება ეს საქავტოტრესტს — ხანმოკლე აღმოჩნდა.

გზა გახსნეს, ზეიმი დამთავრდა და საკითხიც ამით ამოიწურა. მაგრამ რაჭის მოსახლეობამ, რომელიც ამ გზას ეტანება, იფიქრა, რომ ამით არ დამთავრდებოდა ტყიბულ-ამბროლაურის გზატკეცილის ჯერ დაუწყებელი ისტორია. ხალხი ფიქრობდა და დარწმუნებული იყო, რომ რადგან გზა უკვე მზადაა, მოძრაობაც იქნებოდა, საქავტოტრესტი იქ სამგზავრო ავტობუსებსაც გაუშვებდა მგზავრები მიაწყდნენ ტყიბულის სადგურს, მაგრამ იქ არავის უნახავს ამბროლაურისკენ მიმავალი ავტობუსები. მგზავრების ბედი „ხალტურის" მოტრფიალე შოფერებს ჩაუგდეს ხელთ. მაგრამ უბედურება კიდევ ის იყო, რომ „ხალტურის" მოტრფიალე შოფერთა ავტომობილებიც იშვიათად თუ გამოჩნდებოდნენ. მგზავრები კი დღეების განმავლობაში იცდიდნენ ტყიბულში და იმედგაცრუებულნი ზოგი ფეხით გაუდგებოდა შორ გზას, ზოგიც უკან ბრუნდებოდა. მაგრამ ყველაფერი ეს შარშან ზაფხულზე იყო. რას იფიქრებდნენ რაჭაში მიმავალნი, თუ 1938 წლის ზაფხულზედაც ასე უყურადღებოდ დასტოვებდნენ ამ გზას, თუ ახლა მაინც არ გაუშვებდნენ აქ ავტობუსებს. 45 კილომეტრიანი მშვენიერი გზატკეცილის მიტოვება, მთელი ვეებერთელა კუთხის — მთელი რაჭის მოსახლეობის ინტერესებისათვის ანგარიშგაუწევლობა განა ვის ეპატიება! თითქოს ასეა.

მაგრამ ფაქტი და სინამდვილეა, რომ ამ გზაზე ჯერაც არ გაუვლია ავტობუსს საავტომობილო ტრანსპორტის ხელმძღვანელ ორგანიზაციებს არ ახსოვთ ამ გზის არსებობა. მოსახლეობისთვის ახლა გასაგებია, თუ რატომ იყო შარშან ეს გზა უყურადღებოდ მიტოვებული. ეს იმიტომ იყო, რომ ტყიბულშიაც და ამბროლაურშიაც იყვნენ ისეთი „ხელმძღვანელნი", რომელნიც დღედაღამ ხალხის შევიწროვებაზე და ზიანზე ფიქრობდნენ, მოსახლეობაში უკმაყოფილების დათესვას ცდილობდნენ.

ახლა, როცა ხალხის მტრები თავიდან მოვიშორეთ, ნაქერალის გზატკეცილის უპატრონოდ მიტოვების მიზეზი გაუგებარი და გაურკვეველია. ათეულობით მგზავრები ელიან ტყიბულში ავტოტრესტის ავტობუსებს

გვითხარით, გაუშვებთ თუ არა ამ გზაზე ავტობუსებს, საქავტოტრესტელებო!

გრ. მურუსიძე.

თბილისის წყლის სადგურთ ფოტო ო. აკოფოვისა

ავტოგადარბენა თბილისი — ბათუმი — თბილისი დამთავრდა

(„კომუნისტის" სპეციალური კორესპონდენტისაგან)

ზესტაფონიდან ავტოკოლონა დილის თერთმეტის ნახევარზე დაიძრა. გადასასვლელია კიდევ რიკოთის უღელტეხილი. დილის 9 საათამდე ამოწმებენ მოტორებს და მანქანის სხვა ნაწილებს. ყველაფერი რიგზე და წესიერადაა. მანქანებს მტვრის სქელი ფენა ადევს, სწმენდენ მათ, ზეთავენ მოტორებსა და აგრეგატებს, უცვლიან წყალს, ავსებენ ბენზინით. კოლონა მზად არის წასასვლელად.

9 საათზე გაიმართა გრანდიოზული მიტინგი, 25 თებერვლის ფართო ქუჩაზე შეგროვილან ქალაქისა და სოფლებიდან ჩამოსული მშრომელები წითელი დროშებით; სასულე ორკესტრით. წითელი ტილოებითა და ბელადების სურათებით მორთულ ტრიბუნაზე ადიან რაიონის ხელმძღვანელი მუშაკები და ავტოგადარბენის მონაწილენი.

მიტინგს ხსნის ზესტაფონის ქალაქის საბჭოს თავმჯდომარე ამხ. წიქარიშვილი, რომელიც ლაპარაკობს ჩვენი გადარბენის მნიშვნელობაზე. მისასალმებელ სიტყვებს ამბობენ: ფეროშენადნობთა ქარხნის ქარხკომის თავმჯდომარე ამხ. ნებიერიძე—ქარხნის მუშებისა, მოსამსახურეებისა და ინჟინერ-ტექნიკოსების, ექიმი კიკვიძე — მედმუშაკების, ამხ. ჩხეტია — ზესტაფონის რკინიგზელთა და ამხ. გორგაძე — მასწავლებელთა სახელით.

საპასუხო სიტყვით გამოდის თბილისის ავტოსარემონტო ქარხნის დირექტორი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ზესტაფონის საარჩევნო ოლქიდან, ორდენოსანი ამხ. ვ. სალაძე. ხალხი თავისი დეპუტატის გამოჩენას ტრიბუნაზე აღფრთოვანებით ხვდება.

მიტინგის დამთავრებისთანავე კოლონა დაიძრა ხაშურისაკენ. ალტაცებაში მოვყევართ მთელ გზას ამ უბანზე. იგი იშვიათად არის მოვლილი. ტექნიკური თვალსაზრისით იგი უნაკლოდ არის ნაგები და შენახული. გზა თვალწარმტაც ადგილებზე გადის მდ. ძირულის ხეობით და თანდათანი შემართებით, რომელიც არც თუ ისე მკვეთრია, გადადის რიკოთის მთაზე ფოთლოვანი ტყის ხეივნებს შორის. მანქანები თავისუფლად ანვითარებენ 40—50 კილომეტრის სისწრაფეს, რაც საუღელტეხილო პირობებში წარმოუდგენელია.

მე-25 კილომეტრზე, სოფ. ვერთხვიჭალაში, კოლონას ხვდებიან ხაშურის რაიონის ხელმძღვანელი ამხანაგები რაიკომის მდივნის ამხ. ტატიშვილის მეთაურობით და ხაშურამდე აცილებენ. გავიარეთ კიდევ რამდენიმე კილომეტრი და უღელტეხილზე შეგვხვდნენ ხაშურის მშრომელები, რომლებიც წითელი დროშებითა და ნაციონალური საკრავებით წამოსულიყვნენ ორი სატვირთო მანქანით, უღელტეხილი მშვიდობიანად გადავიარეთ და ხაშურში ჩავედით. აქაც სახელდახელო მიტინგი გაიმართა.

ხაშურიდან ამხ. ვ. სალაძემ ავტოგადარბენის მონაწილეთა სახელით მისალმების დეპეშა გაუგზავნა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პირველ სესიას.

დავიძარით გორისაკენ. გორში ცოტა შესვენების შემდეგ, რაც ბენზინის ჩასხმისათვის იყო საჭირო, კოლონა თბილისისაკენ გამოემართა და ღამის 1 საათზე მწყობრად შემოვიდა უმაღლესი საბჭოს სესიის გახსნის გამო მორთულ დედაქალაქში.

ავტო გადარბენა მარშრუტით თბილისი—ბათუმი — თბილისი დასრულდა. უკან დაგვრჩა განვლილი ათასი კილომეტრი გზა. ვიარეთ უღელტეხილებით, ხევებით, ალპიურ ზონაზე, ნარინჯოვანთა და სუბტროპიკების ბაღნართა, ბაღ-ვენახებსა და ოქროსფრად და ლურჯად მოლივლივე საკოლმეურნეო მინდვრებს შორის, რომლებიც ბარაქიან მოსავალს გვიქადიან.

რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს სესიისადმი მიძღვნილმა ავტოგადარბენამ წარმატებით ჩაიარა.

მიტინგი ავტო-სარემონტო ქარხანაში

ავტო გადარბენის დამთავრებასთან დაკავშირებით, 9 ივლისს თბილისის ავტოსარემონტო ქარხანაში შესდგა მუშა-მოსამსახურეთა და ინჟინერ-ტექნიკოს მუშაკთა მიტინგი, სადაც გადარბენის შედეგებზე სიტყვით გამოვიდა ქარხნის დირექტორი ამხ. ვ. სალაძე.

— ჩვენი მუშათა კოლექტივი ყოველთვის ჯანსაღი იყო, — სთქვა მექანიკური საამქროს სტახანოველმა ამხ. მილნიკოვმა, — მაგრამ არ შეგვეძლო გამოგვეჩინა მუშაობის სტახანოვური ნიმუშები, რადგან ეს ხელსაყრელი არ იყო ქარხანაში მოკალათებული ხალხის მტერ-ჯაშუშებისათვის. ახლა კი ჩვენს შრომასაც გასაქანი მიეცა. ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რომ თბილისის ქარხანა პირველი გახდეს ავტოსარემონტო ქარხნებს შორის.

ეს აზრი ქარხნის მთელი კოლექტივის აზრია.

მიტინგზე სიტყვით გამოვიდა აგრეთვე გადარბენის მონაწილე, თბილისის ავტოკლუბის უფროსი ამხ. ვ. მიქელაძე.

მიტინგმა დაადგინა ახლო მომავალში მოწვეულ იქნას ქ. თბილისის ავტო მუშაკების აქტივის საქალაქო კრება და ქარხნის დამკვეთელ სამეურნეო ორგანიზაციების წარმომადგენელთა კონფერენცია, სადაც მოსმენილ უნდა იქნას ქარხნის დირექტორის ანგარიში და მოხსენება ჩატარებული ავტო გადარბენის შედეგებზე.

ა. კელენჯერიძე.

სახანძრო რაზმების შეჯიბრება

საქართველოს სახანძრო რაზმების რესპუბლიკური სპორტშეჯიბრების მეორე დღეს შეჯიბრება ჩატარდა ფარზე წყლის მიზანში სროლაში და საბრძოლო მანქანებით ხანძრის ჩაქრობაში.

ფარზე წყლის მიზანში სროლაში შესანიშნავი ოსტატობა გვიჩვენეს მიკირტიჩიანმა და მანზენკომ (თბილისი), რომლებმაც დაიკავეს პირველი და მეორე ადგილი.

რაზმების მიხედვით პირველ ადგილზე გამოვიდა თბილისის რაზმი.

იმის გამო, რომ მსაჯთა კოლეგია დანიშნული დროისათვის არ გამოცხადდა ადგილზე და შეჯიბრება დაიწყო 2 საათის დაგვიანებით, ხანძრის ჩაქრობაში მონაწილეობის მიღება მოასწრეს მხოლოდ თბილისის, ბათუმისა და სოხუმის რაზმებმა.

შეჯიბრების პირობები ასეთია: რაზმელები თავისუფალ მდგომარეობაში არიან, მთავარი მსაჯი აძლევს საგანგაშო სიგნალს, რაზმელები ელვის სისწრაფით მიიჭრებიან საბრძოლო მანქანასთან, სადაც გადაიცვამენ სახანძრო ტანსაცმელს და აირწინაღებს, რის შემდეგ მანქანა გაექანება აუზისაკენ წყლის მისაღებად. მანქანის აუზთან მისვლისთანავე მებრძოლები იკავებენ მათთვის განკუთვნილ ადგილებს. ამ დროს ორ დიდ ორმოში, რომლებშიც მოთავსებულია ერთში მაზუთი და მეორეში ნავთი, აჩენენ ხანძარს, რასაც შემდეგ აქრობს რაზმი.

ის რაზმი, რომელიც ყველა სახანძრო წესების დაცვით ხანძარს ჩააქრობს ნაკლები დროის განმავლობაში, გამოდის გამარჯვებული.

ამ შეჯიბრებაში მონაწილე რაზმებიდან განსაკუთრებით კარგი მაჩვენებლები მოგვცა სოხუმის რაზმმა.

ს. გერგიძე

მწერალთა კავშირში

10 ივლისს საღამოს 8 საათზე, მწერალთა სასახლეში შესდგება ქართველ მწერალთა აქტივის შეხვედრა ცნობილ რუს მწერალ ალექსეი ტოლსტოისთან.

შეხვედრას ესწრებიან მწერლები და ხელოვნების მუშაკები.

შესვლა მოსაწვევი ბილეთებით.

ჰაინე ქართულად

გამომცემლობა „ფედერაციამ" დაბეჭდა და ამ დღეებში გამოვა ჰაინრიხ ჰაინეს ლირიკული ლექსების ერთტომეული — თარგმნილი ხარიტონ ვარდოშვილის მიერ, კონ. გამსახურდიას რედაქციით და კრიტიკული წერილით.

წიგნში შეტანილია ჰაინეს ლექსების შემდეგი ციკლები: 1. ჭაბუკური ვნებანი, 2. ლირიული ინტერმეცო, 3. დაბრუნება სამშობლოში, 4. მოგზაურობა ჰარცზე, 5. ახალი გაზაფხული, 6. რომანსები, 7. თანამედროვეობა, 8. სხვადასხვა, 9. რომანსები და მოთხრობები, 10. „გერმანია"— ნაწილი პირველი (პოემა). წიგნი შეიცავს 300 გვერდს.

ახალი ამბები

★ წელს აფხაზეთის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში უნდა დამზადდეს 18 მილიონი ცალი მანდარინი.

★ თბილისის რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტში წელს მიიღებენ 325 კაცს სტაციონარზე და 215-ს დაუსწრებელ განყოფილებაზე.

★ 15 ივლისს საქ. საბჭოთა მხატვრების კავშირის სურათების გალერეა ტრეტიაკოვის გალერეიდან გამოფენისათვის მიიღებს 18-19 საუკუნეების რუს ოსტატთა სურათებს. გამოფენა გაიხსნება ივლისის დამლევს და გაგრძელდება სამ თვეს.

★ გამოვიდა და ხელისმომწერლებს ურიგდება ჟურნალი „საქართველოს სოციალისტური მეურნეობა" № 6.

„ტორპედოს" ფეხბურთელები მოსკოვს გაემგზავრნენ

პარიზი, 8 ივლისი (საკდესი). „ტორპედოს" საბჭოთა ფეხბურთელები, რომლებმაც უდიდესი წარმატებით ჩაატარეს თავისი გამოსვლები საფრანგეთში, გუშინ საღამოს პარიზიდან მოსკოვს გაემგზავრნენ. ვაგზალზე საბჭოთა სპორტსმენები გააცილეს სსრ კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენლობის თანამშრომლებმა. საბჭოთა კოლონამ პარიზში და საფრანგეთის მუშათა საპორტო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა.

ამინდი საქართველოში

უკანასკნელი ორი დღის განმავლობაში დასავლეთ საქართველოს რაიონებში შესამჩნევი სიგრილე იყო. 8 ივლისს საღამოს ბევრგან წვიმაც მოვიდა, მაგრამ 9 ივლისიდან თითქმის ყველგან დიდი სიცხეები დაიკავა.

აღმოსავლეთ საქართველოში მხოლოდ მთა ადგილებშია სიგრილე. ბარად გვალვაა. 9 ივლისს დილის 8 საათისათვის თბილისში იყო 23 გრადუსი, წნორის-წყალზე 25, ლაგოდეხში 24 და ყაზბეგის მაღალმთიან მეტეოროლოგიურ სადგურთან 6 გრადუსი. ნაშუადღევის 1 საათისათვის სიცხემ მიაღწია თბილისში 33 და წნორის-წყალზე 35 გრადუსს. დასავლეთ საქართველოში დილის 8 საათისათვის იყო: ქუთაისში 27 გრადუსი, ბათუმში 23, ფოთში 24 და ანასეულში 21 გრადუსი.

დღეს თბილისში მოსალოდნელია მოწმენდილი ამინდი, სუსტი ქარი, ჰაერის ტემპერატურა დღისით 35 გრადუსამდე მიაღწევს.

წვიმები არსადაა მოსალოდნელი.

პარტკალენდარი

ლ. კეცხოველის სახელობის პროპაგანდისტისა და აგიტატორის სახლში

10 ივლისს:

საქ. კ. პ. (ბ) ისტორიის კაბინეტი — საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის კიროვის რაიონის პროპაგანდისტებისათვის შესდგება ინდივიდუალური კონსულტაცია საქ. კ. პ. (ბ) ისტორიაში. რუსულ ენაზე. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

აგიტაციის კაბინეტი — კონსულტაცია თემებზე: 1) სტახანოვური მოძრაობის ძალა მის მასობრიობაშია. კონსულტანტები ქართულ ენაზე— ამხ. შ. სვიმონიშვილი, რუსულზე—ამხ. ბ. ლელინი. 2) ჩინელი ხალხის ბრძოლა იაპონელ ფაშისტ-დამპყრობელთა წინააღმდეგ. ქართულ ენაზე კონსულტანტი ამხ. ა. გიორგაძე. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

○

საქ. კ. პ. (ბ) წულუკიძის რაიკომი აცხადებს, რომ პარტბილეთი № 1524207, გაცემული საქ. კ. პ. (ბ) წულუკიძის რაიკომის მიერ ნადია ბათლომეს-ასულ ჰელიძის სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-თან არსებული პარტკონტროლის კომისიის პარტკოლეგია საქართველოში წინადადებას აძლევს ვლადიმერ ივანეს-ძე ზესტაევს სამი დღის ვადაში გამოცხადდეს პარტკოლეგიაში ამხ. ჯაკურაშვილთან (ძერჟინსკის ქ. № 8, მეორე სართული).

პასუხისმგებელი რედაქტორი **ვ. ხატიაშვილი**

„კომუნისტის" რედაქციასთან არსებული

ძირეული პრესის მუშაკთა კურსების

მსმენელთა მორიგი მეცადინეობა შესდგება რედაქციის შენობაში (რუსთაველის პროსპ. № 16)

ხვალ, 11 ივლისს, საღამოს 8 საათზე.

მსმენელებს ვთხოვთ გამოცხადდნენ დაუგვიანებლივ.

საქფილარმონიის საზაფხულო თეატრი და ბაღი
პლეხანოვის პრ. 123. ტელ. № 3-18-50

10, 11 და 12 ივლისს
ტალ. №№ 40, 41, 42
გასტროლები
ხალხური ცეკვის
უკრაინის სახელმწიფო ანსამბლისა
დაწვრილებით აფიშებში
დასაწყისი საღ. 9 ს. 30 წ.
მუდმივ ბილეთებზე მე 2 შესატანის გადახდა-სავალდებულოა.

ღია ესტრადა

10 ივლისს
ცნობილ მომღერალ
სურია ყაჯარის
უკანასკნელი
გასტროლი
შესვლა ესტრადაზე ბაღის შესასვლელი ბილეთებით.
დასაწყისი საღ. 10 საათ.

სერგო ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების ცენტრალური პარკი
ესტრადა — საქფილარმონიის ფილიალი

10, 11 ივლისს
ესტრადის საღამოები
დაწვრილებით აფიშებში
დასაწყ. საღ. 9 ს. 30 წ.

დღეს სახკინმრეწვის თეატრებში

ოქტომბერი პლეხანოვის პროსპ., 135	მხატვრული ფილმი **პატარა დედა** დასაწყისი საზამთრო შენობაში 6-30, 8-30, 10-30 საზაფხულო შენ. 9. 11
დამკვრელი პლეხანოვის პროსპ., 125	
კომკავშირელი პლეხ. პროსპ. 91	საზაფხ. და საზამთ. შენ. ახ. ხმოვ. ფილმი **მეგობრები ბანაკიდან** დასაწყ. საზამთრო კინოში 6-30, საზაფხ.—9 ს.
რ. ლუქსემბ. სახ. ჯორჯიაშვილის, 8	ხმოვანი მხატვრ. ფილმი **ზანგეზური** სეანსების დასაწყისი „სპარტაკში" 6-30, 8-30, 10-30 რ. ლუქსემბ. სახ. 7, 9, 11
სპარტაკი რუსთაველის პროსპ., 23	
26 კომ. სახ. (საზამთ. შენ.) შაუმიანის. მოედანი	საზაფხ. და საზამთრო შენ. **ზანგეზური**
არსენა კომუნალური ქ., № 9	ახ. ხმოვანი ფილმი **წელი მე-19** დასაწყ. 6-30
კომინტერნი (საზაფხ.) ბრძოლის ქ. № 222	ახალი ხმოვანი ფილმი **ბავშვები** დასაწყისი 9 საათზე
ახალი ამბები პლეხანოვის პროსპ., 125	**ჰაერში მოგზაური** ხმოვანი ჟურნალი № 29

ექიმი
ნ ონიანოვი
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი. სქესობრივი უძლეურობის მკურნალობა ავადმყოფთა მიღება სად. 7—9 დ. ნიკოშვილის ქ. (ყოფ. ალექსანდროვის) № 5.
6—2 16

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი

აცხადებს, რომ 1938 წლის 24 სექტემბერს, საღამოს 8 საათზე, ტუბინსტიტუტის აუდიტორიაში (მელიქიშვილის ქ. № 9) დანიშნულია ინსტიტუტის **საბჭოს ღია სხდომა**, რომელზედაც შესდგება საჯარო პაექრობა: მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი **ალექსი დიმიტრის-ძე უსტიაშვილი** მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად დაიცავს დისერტაციას თემაზე: „პლაცენტა, როგორც პროლანის ინკრეციის ადგილი".

ოფიციალურ ოპონენტებად დანიშნული არიან: პროფ. **გ. ღამბარაშვილი**, პროფ. **შუშანია** და პროფ. **ბ. ღოლობერიძე**.

მსურველთ შეუძლიათ გაეცნონ შრომას ინსტიტუტის სამდივნოში (ლუნაჩარსკის, 12).

1657

დირექცია.

საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატის № 6 სამკერვალო ფაბრიკის ბალანსი 1938 წლის 1 იანვრისათვის (ათას მანეთებში)

აქტივი

№№ რიგ.	მუხლების დასახელება	ჯამი
1	ძირითადი საშუალებები	100
2	მასალები, ნედლეული და სათბობი	437
3	დაუმთავრებელი წარმოება და ნახევარ-ფაბრიკატები	323
4	საქონელი და მზა ნაწარმი	224
5	სეხები, გამოყოფილი სარეალიზაციოდ ძირითად საშუალებათა ლიკვიდაციის წესით	2
6	გადაგზავნილი საქონელი და შესრულებული სამუშაოები	91
7	ფულადი საშუალებები	371
8	ანგარიშსწორებანი (დებიტორები)	69
9	მომავალი დროის ხარჯები	32
10	ხარჯები მიზნობრივი დაფინანსების ანგარიშით	—
11	შენატანები, ანარიცხები და სხვა განყენებული საშუალებები	620
	ბალანსი	2.269

პასივი

№№ რიგ.	მუხლების დასახელება	ჯამი
1	საწესდებო ფონდი	741
2	სპეციალური ფონდები	137
3	რეზერვები და მომწესრიგებელი მუხლები	17
4	ანგარიშსწორებანი (კრედიტორები)	226
5	დაგროვება მიმდინარე წლის	1.148
	ბალანსი	2.269

დაგროვება-დანაკარგების ანგარიში

1. სხვა დანაკარგები	56	1. დაგროვება საქონლის და მზა ნაწარმის რეალიზაციით	1.204
დაგროვების ნაშთი	1.148	დანაკარგების ნაშთი	—
სულ	1.204	სულ	1.204

დირექტორი **მ. ძურიძე.**

მთ. ბუხჰალტერი **ვლ. ჭანტურაია.**

ბალანსი და დაგროვება-დანაკარგების ანგარიში დამტკიცებულია საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სახკომის მიერ და ნებადართულია გამოსაქვეყნებლად.

1213

საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატის მთავარი ბუხჰალტერი **პ. უიფიანი.**

მისამართი, რედაქციის — თბილისი, რუსთაველის პროსპ. № 16, ამომცემლობის — რუსთაველის პროსპექტი № 34; ტელეფონები: სამდივნოსი: 3—06—88, განყოფილებებისა: პარტიულის — 3—57—61, სასოფლო-სამეურნეოს — 3—73—40. მშრომელთა წერილების — 3 73–24; პ-მგ მორიგის — 3—26—67, ამომცემლობის — 3—51—81; სტამბ ის დირექტორის — 3—27—04, ხელნა წერები ავტორებს არ უბრუნდება.

ამხ. ს. თოდრიას სახ. სტამბა „კომუნისტი", თბილისი, კაპის ქ. № 68.

მთავლიტის რწმუნებული ბ—208